25
F75 N 6180

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 126 (19268) შაბათი, 1 ივნისი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

880.000 ტონა ჩაისათვის

ცეცხლაურელთა პლანტაციებში

კოგულეთის რაიონის ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები მოუღლელად შრომობენ ვალდებულებით ნაკისრი 8.950 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსაკრეფად.

მეურნეობის მშრომლები პლანტაციებში უზრუნველყოფილი არიან ცხელი კერძებით, სამედიცინო მომსახურებით, სოფლის ფოსტალიონს უშუალოდ პლანტაციებში მიაქვს ახალი ჟურნალ-გაზეთები.

• • •

სურათებზე: სოფელ ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფა; მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი თემურ ზოიძე, მეურნეობის დირექტორი გურამ ნიჟარაძე და მეჩაიე როზა სულამანიძე ამოწმებენ მოკრეფილი ფოთლის ხარისხს; სოფლის ფოსტალიონი როლანდ გვილია ახალ ჟურნალ-გაზეთებს ურიგებს მეჩაიეებს; პლანტაციებში მეჩაიეების პროფილაქტიკურ შემოწმებას ატარებენ მედდები ციალა სტამბულიშვილი და გულნარა ჯინჭარაძე.

გ. სამსონიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მთელი რეზერვები მოვახმაროთ საკვები ბაზის განმტკიცებას

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

ახალქალაქისა და მცხეთის რაიონების ფერმების მუშაკებმა, რომლებიც ეყრდნობიან მოწინავე გამოცდილებას, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს, დამკვრელურ შრომას, ... პატრიოტული ინიციატივა — გაზარდონ საკვების წარმოება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი და უზრუნველყონ მეცხოველეობა საკუთარი წარმოების საკვებით 1985-1986 წლების ზამთრის პერიოდისათვის.

აი, რა უთხრეს საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. სტეპანიანმა და საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ეცადაშვილმა:

ს. სტეპანიანი:

— საკვები ბაზის პრობლემა უმნიშვნელოვანესია მეცხოველეობის განვითარებაში. იგი უნდა გადავწყვიტოთ კომპლექსურად, განსაკუთრებით ჩვენი მაღალმთიანი რაიონის პირობებში, სადაც მთაგორიანი რელიეფი ტექნიკის გაშლის საშუალებას არ გვაძლევს, ხანმოკლე ზაფხული კი დამატებით სიძნელეებს უქმნის საკვებმომპოვებლებს. სწორედ ამიტომ საკვები ბაზის განმტკიცებაში ვცდილობთ ყველა რეზერვი გამოვიყენოთ. ეს უწინარესად ეხება მანამდე გამოუყენებელ მასივებზე სათესი ფართობების გადიდებას. უკვე წლევანდელ გაზაფხულზე, კერძოდ, 18 პროცენტით გავადიდეთ საკვები ბალახების ფართობი, რამაც 19 ათასი ჰექტარი შეადგინა. მთებისათვის წართმეულ მიწებზე დავთესეთ პარკოსანი კულტურები, ცერცველისა და სოის ნარევი — ისინი ჩვენს პირობებში უხვ მოსავალს იძლევიან.

რეზერვები ძიების დროს, ძიებას კი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მეცნიერებთან, სპეციალისტებთან ერთად ვაწარმოებდით, დავადგინეთ, რომ თუმცა საკვები კულტურების ფართობების თითქმის 40 პროცენტი სარწყავ მიწებზეა განლაგებული, მაგრამ უხვ მოსავალს არ იძლევა. ამის მიზეზია არაეფექტიანი რწყვა. შევიმუშავეთ ამ სავარგულების რწყვის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების ღონისძიებანი.

გარდა ამისა, ვახორციელებთ 1.300 ჰექტარ ფართობზე სათიბებისა და საძოვრების ზედაპირულ, ხოლო 500 ჰექტარზე — ძირეული გაუმჯობესების სამუშაოებს. ბუნებრივი საძოვრების ხარჯზე სათიბების ფართობი 300 ჰექტარით გავაფართოეთ, ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა 2500-ტონიანი ახალი სასილოსე და სათენაჟე ორმოების აგება.

ეს მხოლოდ ნაწილია ჩვენ მიერ დასახული პროგრამისა, რომელიც შემუშავებულია რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. მაგრამ ამ ნაწილის განხორციელებაც, ეკონომისტების გამოანგარიშებით, დიდ მოგებას გვპირდება. გამოანგარიშებამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს საკვებმომპოვებლებს 1985 წლისათვის ეკისრათ გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი: აწარმოონ 111 ათასი ტონა უხეში, 48 ათასი ტონა წვნიანი საკვები, 8 ათასი ტონა საფურაჟე კარტოფილი, 6 ათასი ტონა მარცვალფურაჟი, შარშანდელზე 10 ათასი ტონით მეტი თივა, 30 ათასი ტონა სენაჟი, 28 ათასი ტონა სხვა უხეში საკვები. ამით საფუძველი ჩაეყრება ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას, რაიონის სასურსათო პროგრამის შესრულებას.

შ. ეცადაშვილი:

— ძირითად იმედს ვამყარებთ საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური წესების მკაცრ დაცვასა და ნათესების გაფართოებაზე. უკვე გასულ შემოდგომაზე 500 ჰექტარი დავუთმეთ სამარცვლე თავთავიან კულტურებს. ამ გაზაფხულზე რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტთა მკაცრი კონტროლით დავთესეთ ერთწლოვანი საკვები ბალახები, გეგმით გათვალისწინებული 2380 ჰექტარის ნაცვლად დავთესეთ 2800 ჰექტარზე, 500 ჰექტარით გავაფართოეთ იონჯის ნათესები.

მეტ ყურადღებას დავუთმობთ სანაწველალო და განმეორებით ნათესებს, სათიბებისა და საძოვრების ზედაპირულ გაუმჯობესებას.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ საკვები ბაზის განმტკიცებაში წარმატების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობის პირობით. ამიტომ ამ პრობლემის გადაწყვეტაში ჩავაბით ყველა პარტნიორი აგროსამრეწველო კომპლექსში — აგროქიმიკოსებიც, მელიორატორებიც, ტექნიკური სამსახურებიც. მაგალითად, მშენებლები საექსპლოატაციოდ გადასცემენ ახალ საკვებსაცავებს, მექანიზატორები კი შეასრულებენ 400 ჰექტარი სათიბებისა და საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების სამუშაოებს.

შარშან მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მწყობრში ჩადგა ბალახის ფხვნილის საამქრო. უკვე ამ გაზაფხულზე მან დაიწყო ვაზის ნასხლავის გადამუშავება, ხოლო ვენახებში მწვანე ოპერაციების დაწყებასთან ერთად საამქრო მიიღებს ნარჩენებს. სანიტარიული გაკაფვის შემდეგ დარჩენილი ხეების ტოტები, ფოთლები აგრეთვე კარგი საწყისი მასალაა საკვები ფხვნილისათვის.

რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ რაიონის პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად შეიმუშავა საკვებმომპოვებელთა კონტროლის, მატერიალური სტიმულირების სისტემა. საკვების დამზადებაში ჩაბმულ რაიონის დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების კოლექტივებს.

მცხეთელებმა ამ სეზონში დასახეს დაამზადონ ერთ პირობით სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე 30 ცენტნერი საკვები ერთეული, უხეში საკვები — 60 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 18 ათასი ტონის ნაცვლად, თივა — 10 ათასი ტონა, რაც თითქმის ორჯერ მეტია გეგმით გათვალისწინებულზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ახალქალაქისა და მცხეთის რაიონების მშრომელთა ინიციატივა.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სხვა რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს, რაიონულ და საქალაქო აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაევალათ თითოეულ საზოგადოებრივ მეურნეობაში განიხილონ ეს ინიციატივები, იღვაწონ, რათა 1985 წლის საკვების დამზადების კამპანია მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, ოპტიმალურ ვადებში, მთელი შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენებით წარიმართოს, სისტემატურად განიხილონ საკვების დამზადების მიმდინარეობა, ამასთან ძირითადი ყურადღება დაუთმონ მის ხარისხს, დროულ მიტანას პირუტყვის გამოზამთრების ადგილებში.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა განიხილოს ახალქალაქის რაიონის მეურნეობებისათვის საკვების ასაღები ტექნიკისა და სხვა მასალების დამატებითი გამოყოფის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი პირობა

დისციპლინის განმტკიცება, სამუშაო დროის დანაკარგების, ცვლისშიგა მოცდენების წინააღმდეგ ბრძოლა დღის უპირველესი ამოცანა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, წლისა და მთლიანად ხუთწლედის მიჯნების მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობაა, განაცხადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, როცა იხილავდნენ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატსა" და თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში შრომის, საწარმოო, ტექნოლოგიური დისციპლინის, სამუშაო დროის გამოყენების მდგომარეობას. გამოთქვეს შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში" ბოლო თვეების მანძილზე გაიზარდა კადრების დენადობა, მეტია გაცდენები, არ მცირდება ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობა. ეს აიხსნება იმით, რომ ნაკლოვანებებია ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში. არ მოქმედებს შრომის დისციპლინის განმტკიცების შტაბი, სხვა საზოგადოებრივი ფორმირებანი.

თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ერთ მუშაზე სამუშაო დროის დანაკარგებმა შეადგინა 0,4 დღე, რაც 40 პროცენტით აღემატება ანალოგიურ საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს. აქაც ბევრია გაცდენა, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობა. ასეთი ნეგატიური მოვლენების მიზეზებია შრომის არაზუსტი ორგანიზაცია, წარმოების არასწორი დაგეგმვა. ადმინისტრაცია უხელფასო შვებულებებს აძლევს მუშებს, რადგან არა აქვს კვარტალების მიხედვით შეწონასწორებული პროდუქციის გამოშვების გეგმა, განიცდის ნედლეულისა და მასალების ნაკლებობას.

დასახელებული საწარმოები დიდი დაძაბვით ასრულებენ საგეგმო დავალებებს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევა შეუძლიათ მათ, დისციპლინა რომ უფრო მტკიცე იყოს ყველა თავისი გამოვლინებით. თითოეულ სამუშაო ადგილზე დისციპლინის განმტკიცება ამ საწარმოების პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების უპირველესი მოვალეობაა. განსაკუთრებით მწვავედ უნდა იბრძოლონ მათ სპირტიანი სასმელების მოყვარულებისა და იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს მათ დაფარვას.

(საქინფორმი)

მეგობრული შეხვედრა

31 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ჰუსაკს, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის ჩამოსული სსრ კავშირში.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალისტური, კომუნისტური მშენებლობა, სკკპ XXVII ყრილობისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVII ყრილობის სამზადისი. კმაყოფილებით აღინიშნა ორი ქვეყნის თანამოქმედების მაღალი დონე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხაზით საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის ინტენსიური ხასიათი. გამოითქვა ორმხრივი მისწრაფება კვლავაც განავითარონ ორი ქვეყნის მოკავშირული ურთიერთობა, განამტკიცონ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობა.

დიდი ყურადღება დაეთმო ეკონომიკური ურთიერთობის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს. ხაზგასმით აღინიშნა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გრძელვადიანი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის 2000 წლამდე პერიოდის პროგრამის თანამიმდევრულ რეალიზაციას. მხარეებმა დათქვეს, ახალი იმპულსი მიანიჭონ წარმოების კოოპერაციისა და სპეციალიზაციის გაფართოებისათვის მიმდინარე მუშაობას, მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის მოწინავე მიმართულებებით ძალისხმევის გაერთიანებას. სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სხვა სოციალისტური ქვეყნების საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მარჯვე გაერთიანება ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკათა გეგმაზომიერ ზრდას, მოძმე პარტიების მიერ დასახული სოციალური პროგრამების შესრულებას, სოციალიზმის შემოქმედებითი შესაძლებლობათა გამოვლენას.

გაიმართა აზრთა გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ მომენტში, როდესაც საერთაშორისო ვითარებას რთული და საშიშროთ ხასიათი აქვს, სულ უფრო აქტუალური და გადაუდებელი ხდება გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტა და კოსმოსზე მისი გავრცელების დაუშვებლობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა მარტოოდენ თავისთავად როდია საჭირო. იგი გააადვილებდა სხვა საერთაშორისო საკითხებზე შეთანხმებათა მიღწევას, გზას გაუკვალავდა სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემათა სახელმწიფოებს შორის ნდობის განმტკიცებას, ეკონომიკის, კულტურისა და სხვა დარგებში ორმხრივ ხელსაყრელი გაცვლისა და თანამშრომლობის განვითარებას.

საბჭოთა კავშირს, ჩეხოსლოვაკიას, ისევე როგორც სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საქმე სწორედ ამ მიმართულებით წარმართონ. ბირთვული საფრთხის ალაგმვა, მტკიცე მშვიდობის გზით წინსვლა სავსებით რეალური და შესაძლებელია. ოღონდ ამისათვის საჭიროა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა ხელი აიღონ სამხედრო ძალების არსებული დახლოებითი პარიტეტის დარღვევის ცდებზე, წარმართონ თავიანთი ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან ორმხრივი პატივისცემის, თანასწორუფლებიანობის და ს. ერთურთის კანონიერი ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.

მ. ს. გორბაჩოვმა და გ. ჰუსაკმა ხაზგასმით აღნიშნეს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ 1985 წლის აპრილში ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა ვარშავის შეხვედრაზე მოქმედების ვადა გაუგრძელეს ვარშავის ხელშეკრულებას. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ საჭიროა კვლავაც განამტკიცონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, გააღრმაონ მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოების თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და სამხედრო დარგებში განვითარების ახლანდელი ეტაპის მოთხოვნათა შესაბამისად.

შეხვედრამ ჩაიარა სრული ერთიანობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში, რომელიც ახასიათებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობას.

გ. ჰუსაკმა მ. ს. გორბაჩოვი მეგობრულ ვიზიტად მიიწვია ჩეხოსლოვაკიაში. მიწვევას მადლობით დათანხმდნენ. (საკდესი).

• • •

სურათზე: შეხვედრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ИЗВЕСТИЯ

ამომრჩეველთა განაწესი

ამ სათაურით გაზეთ „იზვესტიის" 31 მაისის ნომერში დაბეჭდილია მოწინავე წერილი. მასში ლაპარაკია იმ ამოცანებზე, პრობლემებზე, კონკრეტულ, პრაქტიკულ საკითხებსა და მიმდინარე მუშაობაზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის საბჭოები, დეპუტატები ეწევიან ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის.

მოწინავე სტატიის პირველივე აბზაციდან ლაპარაკია საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობაზე, საერთოდ რესპუბლიკის საბჭოების დაოებითს საქმიანობაზე. მოწინავეში, კერძოდ, ნათქვამია:

„საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ასეთი ფაქტი მოიყვანეს: რესპუბლიკაში ყოველი 100 განაწესიდან, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების წინა არჩევნების დროს მიიღეს, შესრულებულია 93, დანარჩენი რეალიზაციის სტადიაშია. ამომრჩეველთა განაწესებით აშენდა ათობით სკოლა, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულება, გადაწყდა ბევრი საბინაო-კომუნალური, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხი.

დიდი მუშაობაა გაწეული. და მაინც, განაწესების შვიდი პროცენტი ჯერ კიდევ არ შესრულებულა. დეპუტატებმა ადგილებზე გააანალიზეს, რით არის გამოწვეული და ყოველთვის დასაბუთებულია თუ არა ვადების კორექტირება, დასახეს დამატებითი ღონისძიებანი საიმისოდ, რომ უფრო სწრაფად და უკეთ შეასრულონ დარჩენილი განაწესები".

სოციალისტური მშენებლობის გზით

მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საიუბილეო ეროვნული გამოფენა

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა ერთად აღნიშნონ ხოლმე ღირსშესანიშნავი თარიღები მოძმე პარტიებისა და ხალხების ცხოვრებაში. 31 მაისს მოსკოვში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა ეროვნული გამოფენა „ჩეხოსლოვაკია—1985", რომელიც ეძღვნება ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დამთავრებისა და ფაშისტ ოკუპანტთაგან საბჭოთა არმიის მიერ ქვეყნის განთავისუფლების 40 წლისთავს.

ექსპოზიცია ასახავს საბჭოთა კავშირთან, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა წევრ ქვეყნებთან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ნაყოფიერ თანამშრომლობას, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მიერ მოპოვებულ წარმატებებს. იგი მკაფიოდ წარმოაჩენს სოციალისტური ქვეყნების ძმობის ძალას, რომლებიც გულდაჯერებით ახორციელებენ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსურ პროგრამას.

გამოფენის საზეიმო გახსნაში მონაწილეობისათვის მოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები ფრიალებენ ქვეყნის მთავარი გამოფენის უდიდესი პავილიონის თავზე. აქ შეიკრიბა ათასობით მოსკოველი და დედაქალაქის სტუმარი.

შეკრებილები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ნ. ა. ტიხონოვს, გ. ჰუსაკს, ჰ. ა. ალიევს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, კ. ვ. რუსაკოვს. აქვე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. კ. ანტონოვი, გ. ი. მარჩუკი და ნ. ვ. ტალიზინი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები რ. როგლიჩეკი და ს. პოტაჩი, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

გამოფენის გახსნაზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

ახლანდელ გამოფენაზე, თქვა ნ. ა. ტიხონოვმა, აისახა ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ისტორიული მიღწევები, რომლებიც მან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა, ის მნიშვნელოვანი გარდაქმნები, მის ცხოვრებაში რომ მოხდა სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე.

დიდი კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობამ მაღალ დონეს მიაღწია, ცოცხალი და მრავალმხრივი ხასიათი აქვს.

ჩვენი თანამშრომლობის მამოძრავებელი ძალა იყო და არის საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიათა მტკიცე კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები.

ჩვენი გამოფენა, თქვა გ. ჰუსაკმა, იხსნება მაისის დამლევს, როცა ჩვენი ქვეყნების ხალხებმა იზეიმეს ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავი. გამოფენის სიმბოლურმა მოკლე სახელწოდებამ უნდა ასახოს ორმოცი წლის წინათ ახალი ჩეხოსლოვაკიის დაბადების სათავეები, მის მიერ განვლილი გზა, და ცხადყოს ის, თუ რით ცხოვრობს დღეს ეს ქვეყანა და რა ამოცანებს ისახავს. ამასთან უწყვეტი ერთიანობით გამოფენა წარმოაჩენს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კავშირ-ურთიერთობის განვითარების ისტორიულ ფესვებს, ჩვენი ინტერნაციონალური თანამშრომლობის მიღწევებსა და პერსპექტივებს.

• • •

ნ. ა. ტიხონოვისა და გ. ჰუსაკის გამოსვლებს ტაშით შეხვდნენ.

გ. ჰუსაკი გამოფენას გახსნილად აცხადებს. ჟღერს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

გაიმართა ექსპოზიციის დათვალიერება. მრავალრიცხოვანი ექსპონატები ასახავენ ბოლო 40 წლის მანძილზე ქვეყნის განვითარების ძირითად ეტაპებს, დამაჯერებლად მოწმობენ მოძმე ქვეყნის ხალხის წარმატებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ეს მიღწევები საბჭოთა კავშირთან ჩეხოსლოვაკიის მრავალმხრივი თანამშრომლობის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მზარდი ერთიანობის შედეგია.

სტუმრები გაეცნენ მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების პროდუქციას, სასოფლო-სამეურნეო, საგზაო და სამშენებლო ტექნიკას, გამოფენის სხვა ექსპონატებს. (საკდესი).

საქართველოს სტუმრება

საქართველოში სტუმრად იყო რუმინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური პარტიული კოლეგიის თავმჯდომარე მიუ დობრესკუ. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

რესპუბლიკაში ყოფნის პირველ დღეს დელეგაცია მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

გაიმართა შეხვედრები და საუბრები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ კომისიაში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში, პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომში. სტუმრები ეწვივნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

შემდეგ რუმინეთის კომპარტიის დელეგაცია სოხუმს გაემგზავრა. იგი მიიღეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში. დელეგაციას გააცნეს ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა, მშრომელთა მიღწევები. იგი შეხვდა გუდაუთის რაიონის ძველი აფხაზური სოფლის ლიხნის მშრომელებს.

დელეგაციას შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია. რესპუბლიკაში მოგზაურობისას მასთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. გ. ვოროპაევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ყარყარაშვილი.

31 მაისს რუმინეთის კომპარტიის დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

(საქინფორმი).

ყაირათიანად, თადარიგიანად

არაერთხელ თქმულა, რომ სწორედ ზაფხულის დრო უნდა გამოვიყენოთ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მარაგის შესაქმნელად, რომლებიც ზამთარში მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფენ. მაგრამ საწარმოთა ყველა ხელმძღვანელმა როდი შეიგნო ჯეროვნად ასეთი საჭიროება. მათს რიცხვს, როგორც აღინიშნა სათბობით, ელექტრული და სითბური ენერგიით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის კომისიის მორიგ სხდომაზე, განეკუთვნებიან ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელები.

ყაირათიანად, სახელმწიფოებრივად ეკიდებიან ამ საქმეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის, რუსთავის ქიმიური კომბინატების ხელმძღვანელები, რომლებიც ქმნიან სათბობის მარაგს ზამთარში საწარმოთა შეუფერხებელი მუშაობისათვის.

აღინიშნა, რომ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია საგზაო და სამშენებლო ბიტუმის დროებითი ნაკლებობა, რაც აფერხებს თბილისში საავტომობილო აირსავსები კომპრესორული სადგურის — მიმდინარე წლის ასამოქმედებელი ობიექტის მშენებლობას.

სხდომაზე აღინიშნა, რომ უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი მომხმარებლისათვის ბიტუმის რიტმული მიწოდების დასაჩქარებლად.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ. (საქინფორმი).

დიდი გზის დასაწყისი

31 მაისი. ეს დღე კალენდარში განსაკუთრებულ თარიღად აღინიშნება. პირველ გამოსაშვებ გამოცდასთან ერთად მოსწავლეები ემშვიდობებიან ბავშვობას, პირველ ნაბიჯს დგამენ იმ გზაზე, რომელსაც გაუზვიადებლად შეგვიძლია ვუწოდოთ დიდი ცხოვრების დასაწყისი.

ტრადიციისამებრ პირველი გამოცდა არის თხზულება მშობლიურ ლიტერატურაში. ქართული სკოლების მეათეკლასელები წერდნენ გამოსაშვებ თხზულებებს თემებზე: „მუნჯაძიდან მალაძემდე" (ე. ნინოშვილის შემოქმედების მიხედვით), „ილია ჭავჭავაძის პატრიოტული ლირიკა", „მით ვაქებ ვაჟკაცობასა, არ იყიდება ფულადა" (თავისუფალი თემა).

რუსული სკოლების კურსდამთავრებულებს შესთავაზეს თემები: „სამოქალაქო ომში ხდება ადამიანის მასალის შერჩევა" (ა. ფადეევის რომანის „განადგურება" მიხედვით), „ვის ხდის ნილაბს რომანის „ომი და მშვიდობა" ავტორი", „გმირი ჩვენს გვერდით არის" (თავისუფალი თემა).

„სიყვარულის, ოჯახისა და მორალის საკითხები ნ. ზარიანის რომანში „ცავანი", „პატრიოტიზმი რაფის რომანში „სამველი", „მშვენიერი ოცნება წინ გვიხმობს" (თავისუფალი თემა) — ამ თემებზე წერდნენ თხზულებებს სომხური სკოლების მეათე კლასების მოსწავლეები.

აზერბაიჯანულ სკოლებში მოსწავლეებმა გაამუქეს შემდეგი საგამოცდო თემები: „ხალხთა მეგობრობა ჯ. ჯაბარლის პიესაში „1905 წელს", „მშრომელი ადამიანი ნიზამის პოემაში „ხოსროვი და შირინი", „პარტია ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია" (თავისუფალი თემა).

ერთიან მწყობრად ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად უნდა იარონ წინ მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლო—1985 წლის კურსდამთავრებულებმა. საბჭოთა ხალხმა საზეიმოდ აღნიშნა ფაშიზმზე დიდი გამარჯვების 40 წლისთავი. ქვეყანამ კომუნისტური მშენებლობის ახალი ფურცელი დაიწყო. საბჭოთა კავშირის მშრომელები ცდილობენ ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობას.

ახლანდელი გამოშვება პირველია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის მიღების შემდეგ, რომელიც ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის თვისებრივი სრულყოფის გზაზე. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება:

ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, აფასებენ დახასიათებას

ამ კრებაზე დასწრება გულით მეწადა და ამიტომაც თავიდანვე ყველაფერი ვილონე, რომ არ გამომრჩენოდა მისი გამართვის თარიღი. მაგრამ ჩემი მოწადინება საკმარისი არ აღმოჩნდა. რატომ?

თავდაპირველად პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებას ვთხო-

მარტივი აქსიომა

ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს

მყიდველთა გაზრდილი მოთხოვნაა თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის პროდუქციაზე — ეს არის ბავშვთა საწოლები, აკვნები, სამკუთხა მაგიდები და სკამები სკოლამდელთა დაწესებულებებისათვის. ეს ნაკეთობანი, რომლებსაც სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა, გამოირჩევა თანამედროვე დიზაინით.

სურათზე: ამწყობები გარსევან შუშიაშვილი, თამაზ კაპანაძე, ვახტანგ ჩიხაშვილი და მზა პროდუქციის საწყობის გამგე ჯენეტი დარსმელიძე (მარცხნიდან) სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები არიან. ისინი მკაცრად ადევნებენ თვალყურს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ი. ფლამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყურადღების ცენტრშია ფესტივალისათვის მზადება

ფესტივალისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 30 მაისს გაიმართა თათბირი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გ. ლორთქიფანიძემ თათბი- ... კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. შ. ენდელაძე, ა. პ. საყვარელიძე, ნ. შ. ჯანბერიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე. (საქინფორმი).

საბჭოთა მშენებლობა

... რიც შრომაში ჩაება 25 კაცი, რამდენიმე პირი კი მუქთახორობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.

ვხელმძღვანელობთ რა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეთა 1983 წლის 17 სექტემბრის რესპუბლიკური კრების რეკომენდაციებით, ვცდილობთ კიდევ უფრო გავზარდოთ საბჭოს მაორგანიზებელი როლი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში, სრულყოფილი გავხადოთ ჩვენი მუშაობის ფორმები და მეთოდები, მივუახლოოთ ისინი რესპუბლიკის მოწინავე საბჭოების მუშაობის დონეს.

მოქმედების ორიენტირი

გამოცდილება

... ნიჭებოდა საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის და რაიონული საბჭოს აღმასკომის გარდამავალი „წითელი დროშა. 1980 წლის მაჩვენებლებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქარელის საქალაქო საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს სსრ პროფსაბჭომ დააჯილდოვეს მსუბუქი ავტომანქანით, 1981 წელს კი — ფულადი პრემიით.

მიუხედავად იმ დიდი მუშაობისა, რომელიც ჩვენს პატარა ქალაქში მიმდინარეობს სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიური საკითხების მოსაგვარებლად, კვლავ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი და გადასაწყვეტი. მაგალითად,

... ნისტროს მიერ ... ვადგან მისი დაქვემდებარების ორგანიზაციებს სჭირდებათ ტექნიკა, სამშენებლო მასალები და შტატები.

ქარელის საქალაქო საბჭომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის 13 სექტემბრის ბიუროს დადგენილება „თელავის საქალაქო საბჭოს საქმიანობის შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება „სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის სამტრედიის სა-

... საბჭოს აღმასკომს თავის მნიშვნელოვან მოვალეობად საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება მიაჩნია. ამ საქმეში ჩვენ მოსახლეობის ფართოდ ჩაბმას ვახერხებთ. აღმასკომის ინიციატივით ხალხმრავალი ყრილობები გაიმართა ქალაქ ქარელში და სოფელ ბებნისში. ეს ღონისძიება

... XXVII ...

ლ. მაჭავარიანი (?), ქარელის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ტექნიკა სოფლის სიმდიდრეა

დღითი დღე თვალსაჩინო ხდება აბაშის ექსპერიმენტის ნაყოფი. ჩვენს რესპუბლიკაში ფაქტობრივად უკვე შეიცვალა მიწისადმი დამოკიდებულება. გაჩნდა ახალი რეზერვები, ახალი საშუალებები და სხვა. მუშაობას საფუძვლად დაედო მშრომელის მეტი პირადი მატერიალური დაინტერესება, რის შემწეობითაც ახ-

... ოთ 12 დღეში (დღეს კი ვამთავრებთ 25 დღეში), მარცვლეულის თესვა — 3 დღეში (გრძელდება კი 7 დღემდე). ვადების გაჭიანურება-დარღვევა კი მუდამ სოფლის პროდუქტების დიდ დანაკარგებს იწვევს. ამიტომ სოფელს ძირითადად სჭირდება დიდმწარმოებლური, საიმედო, დიდი ხანგამძლეობის, ეკონომიკური და ...

სადღეისო თემაზე

რატომ გვიჭირს ტელეფონით საუბარი?

... ტელეფონის სადგურებში, და არა აბონენტებთან.

ჩვენი რესპუბლიკის სატელეფონო ქსელების ახალ ტარიფზე გადაყვანა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. ამას დიდი მოსამზადებელი სამუშაოები დასჭირდება მრიცხველების შემოღება ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა ყველა აბონენტმა მხოლოდ აუცილებლობის შემთხ-

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

საბრძოლველად ყველანი ფეხზე უნდა დავდგეთ

ყველგან და ყოველთვის ღირსეულად ვატაროთ საპატიო წოდება — საბჭოთა ადამიანი!

ეს ერთი თვის წინათ მოხდა — 28 აპრილს. ხუთი წლის არტურ აბაზოვი, რომელიც თბილისში, ვახტანგ გორგასლის მეოთხე შესახვევში ცხოვრობს, ტოლებთან ერთად სახლის წინ თამაშობდა, ბოთლების ნამსხვრევებში წაიქცა და ძლიერ დაშავდა. ბავშვი, რომელიც სისხლით იცლებოდა, მეხუთე საბავშვო საქალაქო საავადმყოფოში წაიყვანეს. აქ ექიმებმა სასწრაფოდ მოახდინეს. ბავშვი ფეხის მოკვეთას გადაარჩინეს, მაგრამ 56 ნაჭრილობევი კი დარჩა...

როდესაც ზოგიერთ დეტალს შეიტყობთ, მიხვდებით, ვისი ბრალი იყო ეს ტრაგიკული ამბავი: ამას წინათ ამ ადგილას სეფა გაუშლიათ და ქორწილი გადაუხდიათ. კარგად რომ გამოთვრნენ, გადაწყვიტეს „სროლაში“ შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს: ცარიელ ბოთლებს ესროდნენ შერჩეულ „მიზანს“ — ქვას...

სამწუხაროდ, მთვრალი ხალხის უაზრო, ულოგიკო საქციელი გამონაკლისი არ არის. ზემოთ მოყოლილი ამბის ანალოგიური ფაქტი მოხდა ბორჯომშიც. ამ საქვეყნოდ ცნობილ აგარაკზე ბევრნი ჩადიან დასასვენებლად თბილისიდან. შაბათობით ოჯახის მამები ცოლ-შვილს ჩააკითხავენ ხოლმე. ხშირად აწყობენ ტყის პირას პიკნიკებს და ლხინის ადგილას ნაგავსა და დამსხვრეულ ბოთლებს ტოვებენ. ერთ-ერთ ასეთ ნამსხვრევზე სამი წლის გოგონა დაეცა. ამჯერადაც დიდების უგუნური საქციელის გამო საფრთხე შეექმნა ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მარტო ბოთლების ნამსხვრევები როდია საშიში. კიდევ უფრო საშიშია, თუ ეს ბოთლები სავსეა მაგარი სასმელებით. არავინ უწყის, რა შეიძლება მოჰყვეს იმათ საქციელს, ვინც გულგრილად ვერ უყურებს ასეთ ბოთლებს. სიმთვრალის დროს დებოში ატეხა, ჩოხატაურის სასტუმროს „ცისკრის“ სტუმრის ცემა სცადა ადგილობრივი № 93 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ნიკოლოზ მახარაძემ. სულ ცოტა ხნის წინათ მარნეულის სარაიონთაშორისო კომუნალური სამსახურის მუშამ ტელმან იბრაგიმოვმა და მისმა მეინახემ მუსტაფა ასკეროვმა, რომლებიც მაგრად გამოთვრნენ, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს არაფლოს საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს. და იცით, დამნაშავენი ორმოც წელს გადაცილებული კაცები არიან, ერთს სამი შვილი ჰყავს, მეორეს — ოთხი. ფხიზლები რომ ყოფილიყვნენ, ეს ხომ არ მოხდებოდა, არც შვილები დაკარგავდნენ მამების პატივისცემას, რომლებმაც ხულიგნობა ჩაიდინეს.

მთვრალი რომ არ ყოფილიყო, გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს მცხოვრები, „კამაზის“ 24 წლის მძღოლი მამუკა ხარიაშვილი, უბედურება არ მოხდებოდა, უზარმაზარი მანქანა არ გადაბრუნდებოდა და ოთხი კაცი მძიმედ არ დაშავდებოდა. ან იმათ, ვინც მასთან ერთად ქეიფობდა, რატომ მისცეს უფლება მთვრალი საჭეს მისჯდომოდა?! ამ დღეებში, 16 მაისს, შეზარხოშებული მიუჯდა საჭეს „საქსოფლქიმიის“ კასპის განყოფილების სატვირთო ავტომანქანის მძღოლი 25 წლის გიორგი ჯაბანაშვილი. მასთან ერთად მოიკალათა კაბინაში მისმა ძმაკაცმა და მეინახემ, ასევე კასპელმა შოფერმა ნოდარ პაპიაშვილმა. გიორგი ფხიზელი რომ ყოფილიყო, უფრო სწორად და სწრაფად შეაფასებდა სიტუაციას, შემხვედრი „ვოლგის“ მძღოლის მოქმედებას. ახლა კი მსუბუქი ავტომანქანის მგზავრები — ახალგაზრდა ადამიანები, ცოლ-ქმარი ზურაბ და ნუნუ მღებრიშვილები და მათი უახლოესი ნათესავი ვალერი ხიზანიშვილი დაიღუპნენ; საავადმყოფოში აღმოჩნდნენ სატვირთო ავტომობილის მგზავრებიც.

სამწუხაროდ, ამგვარი ფაქტები არცთუ იშვიათია. ინვალიდები ხდებიან ოჯახის მარჩენლები, ავტოსაგზაო შემთხვევების დროს იღუპებიან მგზავრები და ქვეითები, უდიდესი მატერიალური ზარალი მოსდის საზოგადოებას. სვამენ ისინიც, ვისაც მანქანა არა ჰყავს, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, მათ შორის დიპლომიანი სპეციალისტებიც, რომლებსაც ჩვენ, ჩვეულებრივ, გონებრივი შრომის მუშაკებს, ინტელიგენციას მივაკუთვნებთ. განსაჯეთ, რით უნდა გავამართლოთ, რომ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს გამოსაფხიზლებელში, სადაც ჩვეულებრივ ადამიანის სახედაკარგული ხალხი ხვდება, აღმოჩნდნენ ახალგაზრდა მასწავლებელი თეიმურაზ ბუბაშვილი, ინჟინრები ალექსანდრე წეროძე და მიხეილ პაიჭაძე, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ წამყვანი ინჟინერი რობერტ მახმუდოვი, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გიორგი შალამბერიძე, თემურ ათულაძე, გიორგი ყარალაშვილი...

არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის გამოსაფხიზლებლებში რამდენიმე ათეული ათასი კაცი მოხვდა, რომ მარტო ბოლო თექვსმეტი თვის

განმავლობაში სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებმა დააკავეს (ან იქნებ გადაარჩინეს კიდეც?!) 27 ათასამდე მძღოლი, რომლებიც მთვრალები მიუსხდნენ საკუთარ თუ სახელმწიფო ავტომობილებს. ვინ არ იცის, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას.

რესპუბლიკის დედაქალაქში მომხდარ ავტოავარიებს რომ აანალიზებ, რწმუნდები: მათი 30-40 პროცენტი ღამის თორმეტიდან სამ საათამდე ხდება. ძნელი გამოცანა არ არის: სწორედ ამ დროს ბრუნდებიან შინ შეზარხოშებული სტუმრები და საკუთარი თავდაჯერების, გადაჭარბებული სიჩქარისა და გაუფრთხილებლობის მსხვერპლნი ხდებიან.

• • •

საბჭოური ცხოვრების წესი სოციალისტური ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. დიდი უფლებები და ასევე მასშტაბური მოვალეობანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, ეროვნული და სოციალური თანასწორუფლებიანობა ჩვენი საზოგადოების წევრებს შეგნებასა და ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობას გამოუმუშავებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ქვეყნის წინაშე დასახული პრობლემებისა და ამოცანების წარმატებით რეალიზაციის გადამწყვეტ ფაქტორად სუბიექტური, ადამიანური ფაქტორი მიიჩნია. ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გამოსვლის დროსაც მიხეილ გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა სოციალური აქტიურობის შემდგომი გაძლიერებისათვის, თითოეულ შრომით კოლექტივში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის მაქსიმალურად პირობების შექმნა ხელს შეუწყობს იმას, რომ პატიოსნება, კეთილსინდისიერი შრომა, დისციპლინა, ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა თითოეულის საქმიანობის ნორმა გახდეს; ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სტრატეგიული დებულებაა ჩვენი ქვეყნის პარტიული ორგანიზაციებისათვის.

პარტია გულმოდგინე და მუდმივ ყურადღებას უთმობს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას, მის ჰარმონიულ მსოფლმხედველობრივ, ინტელექტუალურ, ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას, და ამასთანავე კარგად იცის: ჩვენში ჯერ კიდევ მოქმედებს, ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ნეგატიური ტენდენციები — სხვადასხვა ჯურის წარსულის „გადმონაშთებიც“, ჩვენი შეცდომებისა და ხარვეზების შედეგად შობილი ახლად შეძენილი ანტიპოდური მოვლენებიც. და თვით სოციალიზმის ბუნებისათვის ყოვლად უცხო ამ ტენდენციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საშიშია ლოთობა, ალკოჰოლიზმი.

• • •

ხალხური სიბრძნე ამბობს: „პირველი ჭიქით კაცი სვამს ღვინოს, მეორეთი — ღვინო ღვინოს, მესამეთი — უკვე ღვინო სვამს კაცს“. მართლაც, ალკოჰოლის მცირე დოზაც კი საკმარისია იმისათვის, რომ კაცმა რაღაც ადამიანური დაკარგოს. ჩვენ ყველამ, ვისაც მთვრალი კაცი გვინახავს, ვიცით: ნასვამი კაცი ხშირად ყბედი, უტაქტო, ტრაბახა, თავხედი ხდება. ერთი სიტყვით, სასმელი „მუხრუჭებს უსუსტებს“ — მისთვის უკვე აღარ არსებობს სოციალური ქცევის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები.

ვინც ალკოჰოლს დაემონება, მარტო თავს კი არ იღუპავს, ახლობლებს, ნათესავებს, შთამომავლობასაც აუბედურებს. განუზომელია ეკონომიკური და მორალური ზარალი, რომელსაც საზოგადოებას აყენებს მსმელი. რამდენი გაუბედურებული ცხოვრება, რამდენი დანგრეული ოჯახი, მშობლიურ ალერსს მოკლებული ბავშვი, საწარმოში მორყეული დისციპლინისა და უწესრიგობის ფაქტი. სწორედ ლოთობა-ღრეობა იწვევს სავალალო სტატისტიკას — ყველა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის 35-50 პროცენტი სიმთვრალესთან არის დაკავშირებული. სწორედ ასეთი ფაქტებით აიხსნება ის საყოველთაო მოწონება, რომლითაც მთელი ჩვენი ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა საქართველოს მშრომელები შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში მიღებულ დადგენილებას „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. მიზნის მიღწევის მთავარი საშუალებაა აღზრდა, მთავარი ფაქტორი — ლოთობისა და ლოთების მიმართ შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ჩვენ უფლება არა გვაქვს დაცემის ნება მივცეთ ამა თუ იმ ადამიანს, ჩვენი ვალია ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ადამიანი შევუნარჩუნოთ საზოგადოებას, მამა, ქმარი თუ შვილი — ოჯახს.

• • •

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სრული გაგებით და მხარდაჭერით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილე-

ბას ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრის შესახებ. მაგრამ აღმოჩნდნენ ცალკეული პირნი, რომლებიც თავს იტყუებენ, ეს „სენი“ ჩვენში დიდად არ არის გავრცელებული და იქნებ არც ისე აუცილებელია, სერიოზულად მოვეკიდოთ ამ პრობლემასო. ეს მიუღებელი აზრია, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ სადაც უნდა ხდებოდეს და რაც უნდა ხდებოდეს, — ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ყველას გვეხება, რადგან სოციალისტური საზოგადოების წევრებს ყველაფერი საერთო გვაქვს — წარმატებანიც, მარცხიც, სიხარულიც და მწუხარებაც.

მოხსენებაში, რომელიც ამა წლის 18 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ შეუწყნარებელია, მცდარია „დავაკნინოთ ამ პრობლემის მნიშვნელობა. საქართველოსათვის... ჩვენში არიან ლოთებიც, ალკოჰოლიკებიც, მათ შორის — პარტიის წევრებიც, არიან ნარკომანები... მისი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებანი ჩვენში უფრო ხშირადაც კი შეიმჩნევა, ვიდრე სხვაგან“. როცა თქვა, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იოლი არ იქნება, ე. ა. შევარდნაძემ ჩვენი ყურადღება მიაპყრო ამის მიზეზს — „ფესვგადგმულ მავნე ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, რომლებიც ადამიანს ქეიფისა და უზომო სმისაკენ უბიძგებს“.

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოვლენა, ლოთობაც მრავალსახოვანია. და როგორც ნებისმიერი სხვა მოვლენა, პოზიტიური იქნება ეს თუ ნეგატიური, იგი დროისა და ადგილის სხვადასხვა კონ-

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

კრეტული პირობების შესაბამისად თავისებურად, სპეციფიკურად ვლინდება. ამას რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოებაც, რომ საქართველო ოდითგანვე ვაზის ქვეყანა იყო, სადაც ჩინებულ ღვინოებს აყენებდნენ და აყენებენ. ეს კი ნიშნავს, რომ აქ იციან ღვინის ყადრი, იციან სმა. მაგრამ, ცხადია, ზომიერად. საქართველოში ყოველთვის ეზიზღებოდათ ლოთი, კაცად არ თვლიდნენ მას.

წლებისა და საუკუნეების მანძილზე ტრადიციების შინაარსში, კერძოდ — სუფრის ტრადიციებში, ბევრი რამ ისეთი შეიტანეს, რომ სხვა ფაქტორებთან და მიზეზებთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საფუძველი მისცა 1975 წლის ნოემბერში მიეღო ცნობილი დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებაში, რომელიც, სხვათა შორის, საზოგადოებრივი აზრის ფართო სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე შემუშავდა, დასაბუთებულად გამოვლინდა „ხალხური ტრადიციების“ ნიღბით როგორ გავრცელდა ანტიპოდური ტენდენციები, მათ შორის ჩვეულებრივი ლოთობა. ასე მოუვიდა ქორწილებს, ქელეხებს, სხვა ადათ-წესებსა და რიტუალებს. გასული წლების მანძილზე ამ სფეროში დადებითი ძვრები მოხდა. მაგრამ აქა-იქ, შეუმჩნევლად, მართალია, არც ისე საგრძნობლად, კვლავ იჩინა თავი ხალხმრავალმა გაუთავებელმა ქეიფებმა, რომლებიც ზემოხსენებულ დადგენილებაში იყო გაკრიტიკებული.

როგორც ჩანს, ჯერაც არ გადაშენებულან ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთში ერევათ ამიერკავკასიელ ხალხთა ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და „თავმომწონეობა“ — ამ ღირსების ისე გაგება, თითქოს სუფრა გაჭედილი უნდა იყოს მაგარი სასმელებით და სურსათ-სანოვაგით, სტუმრები კი აუცილებლად უნდა დაათრო. ამ მხრივ ყურადსაღებია ჩვენი მოსახლეობის იმ მნიშვნელოვანი ნაწილის საქციელიც, რომელთა წინაპრები რელიგიური დოგმებისა თუ სახალხო ტრადიციების გათვალისწინებით არასოდეს არ სვამდნენ სპირტიან სასმელებს არავითარი დღესასწაულების — ქორწილისა თუ სხვა ზეიმის დროს, ახლა კი მათმა შთამომავლებმა არაყი თავიანთი სუფრის აუცილებელ კომპონენტად აქციეს. ხოლო ის, თუ რა მძიმე შედეგები მოსდევს ამას, კარგად ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ მარნეულის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება იძულებული იყო ფაზილ ბაირამოვის — შაუმიანის სასოფლო სამომხმარებლო კავშირის მუშაკის საქმე პროკურატურისთვის გადაეცა იმის გამო, რომ მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად განმეორებით მართავდა მთვრალი ავტომანქანას.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ ბანკეტებს, რომლებიც სხვადასხვა საბაბით და ხშირად ყოვლად უსა-

ბაბოდ იმართება ხოლმე. ვინ არ იცის, რომ ყველაფერი, რაც უზომოდ კეთდება, უკვე თავისთავად ბოროტებაა. მაგრამ კიდევ უფრო უარესია, როცა ამა თუ იმ პირად თუ საერთო დღესასწაულს სასმელებით აღნიშნავენ სამუშაოზე, სამუშაო საათებში. ისიც ხდება ხოლმე, რომ ათობით და ზოგჯერ ასობით კაცისათვის გათვალისწინებული სუფრა გულუხვად იშლება ხოლმე სხვადასხვა დაწესებულების ხარჯზე, რისთვისაც გასავლის ამა თუ იმ მუხლს იყენებენ. მაგრამ ასეთ „პურ-მარილს“ რომ მიირთმევ, მერე იძულებული ხდები თვალი დახუჭო იმაზე, თუ რა გზით ცდილობენ გაწეული ხარჯების დაფარვას, უფრო მეტიც, როგორ ცდილობენ ხელი მოითბონ ამაზე. და ყოველივე ეს ხდება მრავალთა თვალწინ, რომლებმაც ყველაფერი იციან, ყველაფერს ხედავენ...

ზოგჯერ ამგვარ სუფრებსა და ხარჯებს ამა თუ იმ რანგის ხელმძღვანელებიც „აკურთხებენ“ ხოლმე. ამიტომ განსაკუთრებით მკაცრად უნდა მოვკითხოთ სწორედ მათ, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავიანთი მდგომარეობის გამო ისინი ყოველთვის სხვათა თვალთახედვის არეში არიან და მათი ქცევის მაგალითს უდიდესი აღმზრდელობითი რეზონანსი აქვს. ითვალისწინებს რა ამ და სხვა მომენტებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტი სრულიად მართებულად მოითხოვს მიღებულ დადგენილებაში, რომ ამგვარი სუფრებისა და სმის მოყვარულნი უმკაცრესად დაისაჯონ — პარტიიდანაც კი გაირიცხონ და სამუშაოდანაც მოიხსნან.

ტყუილად როდი ამბობდა კარლ მარქსი, თავისუფალი დრო — ეს შესაძლებლობა და სივრცეა, რომელიც პიროვნების სულიერი განვითარებისათვის არისო განკუთვნილი. ვიწყებთ რა ბრძოლას იმისათვის, რომ სიფხიზლე თითოეულის ყოველდღიური ქცევის ნორმა გახდეს, გვესმის რა ამ ღონისძიების მთელი მნიშვნელობა საზოგადოების წევრთა მორალური და ფიზიკური სიჯანსაღისათვის, უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიის მიერ დასახული ამოცანის რეალიზაციის წარმატება დამოკიდებულია ყველა ორგანიზაციისა და პირის მოქმედების კოორდინაციაზე, მისადმი კომპლექსურ მიდგომაზე, გათვალისწინებული ნაბიჯების გამიზნულობაზე, კონკრეტულობასა და პრინციპულობაზე.

და, რაც მთავარია, ამ ბრძოლამ კამპანიური ხასიათი არ უნდა მიიღოს, თანამიმდევრულად, დღენიადაგ და მტკიცედ უნდა წარმოებდეს. ამ საკითხში უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს აღმზრდელობითს ღონისძიებებს, ამ პრობლემის გარშემო ჯეროვანი საზოგადოებრივი პოზიციის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. ამასთანავე კარდინალურად უნდა გაუმჯობესდეს კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების საქმიანობა, ხელი უნდა შევუწყოთ მასობრივი სპორტული მუშაობის, ტურისტულ-საექსკურსიო საქმის შემდგომ განვითარებას, ბიბლიოთეკების მკითხველთა აუდიტორიის, თეატრების, კონცერტებისა და კინოფილმების მაყურებელთა წრის გაფართოებას. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სრულყოფილი და გონივრული ორგანიზაციისათვის, ვასწავლოთ ადამიანებს კულტურული დასვენება, მისი შევსება სულიერ-შემეცნებითი შინაარსით.

ლოთობა იმათი გატაცებაა, ვისაც დაუკარგავთ სულიერი ორიენტირები, დაბალ დონეზე აქვთ საერთო კულტურა, არ გამოუმუშავებიათ საზოგადოებრივი ინტერესები. ისინი უდიდეს ზარალს აყენებენ საზოგადოებას. ხელმძღვანელობს რა ჰუმანური მიზნით — ბოლო მოუღოს ბოროტებას, რომელიც მრავალი უბედურების მიზეზი ხდება, პარტია ყველას მოგვიწოდებს გონივრულად ვიცხოვროთ, გონივრულად გავატაროთ დრო, როცა დღესასწაული სიხარულს მოგვიტანს, შრომა კი კმაყოფილებას. და დღეს ყოველი შრომითი კოლექტივის, ყოველი ოჯახის, ყოველი მოქალაქის ვალია ღრმად გაიაზროს პარტიულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული დებულებები, დასკვნები და მოთხოვნები, რომლებიც მოგვიწოდებენ იმისათვის, რომ ყველაფერში, საზოგადო იქნება ეს თუ პირადი, დიდი თუ პატარა, ჩვენ იმ დიდი საქმის ღირსნი ვიყოთ, რომელსაც ვაკეთებთ! ჩვენ კომუნიზმის პირველმკვლევნი ვართ, ჩვენ შემოგვყურებს მთელი სამყარო, მეგობრები — რწმენით, მტრები — ჩასაფრებულნი. ჩვენგან სწავლობენ მშრომელები ცხოვრებასა და გარჯას, თავიანთი ურთიერთობის აგებას, თავიანთი ცხოვრების წესის გარდაქმნას. ამიტომ მოვალენი ვართ ყველგან და ყველაფერში გავუფრთხილდეთ ჩვენს ღირსებას, გავუფრთხილდეთ ჩვენს რეპუტაციას, საბოლოოდ მოვიშოროთ თავიდან ყოველივე ის, რაც ჩვენთვის უცხოა, რაც ჩრდილს აყენებს ჩვენს ცხოვრებას და საეჭვოს ხდის ჩვენს ღირსებას.

თეიმურაზ ჯაფარლი,
პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

პატიოსანი მომსახურებისა და წესრიგისათვის

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოსულ მშრომელთა საჩივრებს უპასუხებს

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე
ბ. ნაზლაიძე

მომხმარებელი რედაქციაში გამოგზავნილ საჩივარში უკმაყოფილებას გამოთქვამს ქ. თბილისის ოქტომბრის რაისურსათვაჭრობის № 35 მაღაზიის მუშაკებისადმი, რომლებმაც არ შეასრულეს მისი თხოვნა ხორცის მიყიდვის დროს, არ მისცეს საჩივრის წიგნი და მოექცნენ უხეშად.

შემოწმებით საჩივარში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

საჩივარი განიხილა № 35 მაღაზიის მუშაკთა საერთო კრებამ, რომელმაც გაკიცხა დამრღვევები და სათანადო რეკომენდაციები შეიმუშავა, ხოლო ოქტომბრის რაისურსათვაჭრობის დირექციის ბრძანებით მაღაზიის გამყიდველს დ. დათუაშვილს გამოეცხადა საყვედური. სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული, რომ იგი ამ თანამდებობაზე ახალი დანიშნულია.

თბილისის ვაჭრობის სამმართველოს დაევალა გააძლიეროს კონტროლი მაღაზიის მუშაობისადმი.

რედაქციაში გამოგზავნილი საჩივრის საფუძველზე შემოწმდა „თბილისფეხსაცმელვაჭრობის“ № 28 მაღაზია, რომელიც ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარეობს. შემოწმების შედეგად ამ სავაჭრო საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ იმსჯელა მუშაკების ს. ქომეთიანის და თ. ვალიევას მიერ მომხმარებლისადმი უხეში დამოკიდებულების შესახებ. კრებამ ცნობად მიიღო, რომ მაღაზიის სექციის გამგე ს. ქომეთიანი განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო გამყიდველმა თ. ვალიევამ მთლიანად აღიარა მის მიერ ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტი. „თბილისფეხსაცმელვაჭრობის“ დირექცია გადაწყვეტს საკითხს გამყიდველ თ. ვალიევას დისციპლინური წესით დასჯის შესახებ.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

31 მაისი ■ საქდესი იუწყება

განვამტკიცოთ ნდობა, დავიცვათ მშვიდობა

მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები, საზღვარგარეთის პრესა, ტელევიზია და რადიო ფართოდ აშუქებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით სსრ კავშირში ჩამოსული იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. კრაქსის მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებას, აღნიშნავენ, რომ საფუძვლიანი და საქმიანი აზრთა გაზიარების ცენტრში იყო საკვანძო საერთაშორისო პრობლემები და საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, და ხაზს უსვამენ: ამ გაზიარებამ კვლავ ცხადყო, რომ მსოფლიოში მდგომარეობის მთელი რიგი არსებითი ასპექტებისადმი შეფასებებისა და მიდგომის განსხვავების მიუხედავად, საბჭოთა კავშირსა და იტალიას აქვთ შესაძლებლობა ეძებონ და გამონახონ შეხების წერტილები ისეთ საარსებოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიცაა ომის საფრთხის თავიდან აცილება, დაძაბულობის შენელების აღდგენა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფო პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება.

„გაფრთხილება „კოსმოსური ომების“ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკის გამო, დაძაბულობის შენელების თაობაზე გამოთქმული კეთილი სიტყვები, იმ სერიოზულ წამოწყებებში იტალიის აქტიური როლის აღიარება, რომელთა მიზანია დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესება, — ასეთია ბ. კრაქსისთან შეხვედრაზე მ. ს. გორბაჩოვის პოზიციის ძირითადი მომენტები“, — იუწყება იტალიის ანსას საინფორმაციო სააგენტო. საბჭოთა ხელმძღვანელმა დაბეჯითებით გაუსვა ხაზი, რომ კოსმოსი, კაცობრიობის ეს საერთო კუთვნილება, არ უნდა გახდეს სამხედრო მეტოქეობის ასპარეზი, და, თუ არ მოხდა კოსმოსის მილიტარიზაცია, შესაძლებელი გახდება როგორც სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების, ისე საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებების დიდი შემცირება ევროპაში.

იტალიის სააგენტო ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ „საბჭოთა კავშირ-იტალიის მოლაპარაკების დროს კვლავ აღიძრა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ურთიერთობის განვითარების საკითხი, რომლებმაც გასულ წლებში დაამყარეს პირველი ოფიციალური კონტაქტები“, ამასთან საბჭოთა ხელმძღვანელმა თქვა, რომ მზადაა მოაგვაროს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ურთიერთობა ეკონომიკის საქმეებში, აგრეთვე იმისდა კვალობაზე, თუ რამდენად წარმოადგენენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნები „პოლიტიკურ ერთეულს“, გამონახოს მათთან საერთო ენა კონკრეტულ საერთაშორისო პრობლემებზეც.

მოლაპარაკების ხანგრძლივობა და გულწრფელობა მოწმობს დიდ ინტერესს, პატივისცემასა და ყურადღებას, რომელსაც სსრ კავშირი იჩენს იტალიისადმი, საერთაშორისო დარგში წამოყენებული მისი ინიციატივებისადმი, აღნიშნავს გაზეთი „მესაჯერო“.

აქვეყნებს რა ბ. კრაქსის პატივსაცემად გამართულ სადილზე მ. ს. გორბაჩოვის სიტყვის შინაარსს, ამერიკული „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს: საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ მზადაა საქმიანად ეძებოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკებაზე, მაგრამ ვერ გრძნობს მოლაპარაკებაში თავისი პარტნიორისაგან ადეკვატურ მზადყოფნას; ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს, რადაც უნდა დაუჯდეს, ხორცი შეასხას ახალი კლასის იარაღის — დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის გეგმებს, მაგრამ ამან შეიძლება არა მარტო ძირი გამოუთხაროს ჟენევის მოლაპარაკებას, არამედ გააქარწყლოს კიდეც თავად გამალებული შეიარაღების შეწყვეტის პერსპექტივა. ამასთან დაკავშირებით „ვაშინგტონ პოსტი“ აღიარებს, რომ „ჟენევის მოლაპარაკების პირველი რაუნდის დროს საბჭოთა კავშირმა წამოაყენა კონკრეტულ წინადადებათა მთელი ნუსხა, მაშინ, როდესაც ამერიკის წინადადებებს ბევრად უფრო ზოგადი ხასიათი ჰქონდათ“.

ინგლისის „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მხარემ კვლავ მიაპყრო ყურადღება ჟენევის მოლაპარაკების წარმატებისათვის და თავად გამალებული შეიარაღების შეწყვეტის პერსპექტივისათვის კოსმოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობის თაობაზე მორიგების მიღწევის მნიშვნელობას.

საბჭოთა კავშირი კვლავ ადასტურებს, რომ თავის დროზე ევროპაში საშუალო სიშორის საშუალებათა დარგში მის მიერ წამოყენებული წინადადებები კვლავაც ძალაშია და მათ განხორციელებას მოჰყვებოდა ის, რომ საშუალო სიშორის რაკეტებთან დაკავშირებით სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარდებოდა ყველა შესაძლო დონესთან შედარებით მაქსიმალურად დაბალი ნულოვანი დონე; ევროპის ზონაში დარჩენილი სსრ კავშირის საშუალო სიშორის რაკეტები კი იოტისოდენადაც არ იქნებოდა იმაზე მეტი, რაც აქვთ ფრანგებსა და ინგლისელებს, არც თავად რაკეტების რიცხვის მიხედვით.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკების მეორე რაუნდის დაწყებასთან დაკავშირებით სსრ კავშირი აცხადებს, რომ გადაწყვეტილი აქვს მიაღწიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების — კოსმოსური იარაღის, სტრატეგიული შეიარაღებისა და საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებების პრობლემების გადაწყვეტას, წერს იაპონური „ასაჰი“.

ლიბანის „ან-ნიდას“ აზრით, ჟენევის მოლაპარაკებაზე ამერიკის მხარის პოზიცია მოკლებული იყო კონსტრუქციულობის რაიმე ელემენტებს, ფაქტობრივად ეწინააღმდეგებოდა მოლაპარაკების მიზნებისა და საგნის შესახებ იანვრის მორიგების აზრს. ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლია იქონიოს იმედი, რომ საბჭოთა კავშირი დათანხმდება თავისი საპასუხო დარტყმის ბირთვული საშუალებების რაიმე შემცირებას, როცა ვაშინგტონი ადგენს საბჭოთა ბირთვული შეიარაღების „გაუფასურების“ ღონისძიებათა პროგრამას იმ იმედით, რომ შეიძინოს დაუსჯელი აგრესიის განხორციელების უნარი.

საბჭოთა ხელმძღვანელმა კვლავ განაცხადა, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“, რომ სსრ კავშირს მტკიცედ აქვს განზრახული ეძებოს და გამონახოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტები სამივე მიმართულებით, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკების საგანს შეადგენენ. განსაკუთრებით საჭიროა საიმედო დაბრკოლება შეექმნას კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციას, რათა არ დავუშვათ არსებული სტრატეგიული სტაბილურობის დარღვევა.

შვეიცარია

დაიწყო მეორე რაუნდი

ჟენევა. აქ დაიწყო ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მეორე რაუნდი. სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს ვ. პ. კარპოვი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — მ. კამპელმანი.

პირველი პლენარული სხდომის დაწყების წინ ვ. პ. კარპოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას დავალებული აქვს გამართოს მოლაპარაკება, რათა მიაღწიოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ბირთვული ომის საფრთხის შესუსტებასა და ამით საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მშვიდობისა და ყველა ქვეყნის კეთილი ურთიერთობის განმტკიცებას. მან ხაზგასმით თქვა, რომ მიმდინარე წლის 8 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის მიერ მიღწეული მორიგების შესაბამისად კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების ამოცანა მიჩნეულია მოლაპარაკების მონაწილეთა საერთო მიზნად. და მთავარი ის არის, რომ ეს საკითხი გადავწყვიტოთ ეფექტიანად, განვახორციელოთ ეს პრინციპული მორიგება, მივაღწიოთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საიმედოდ გადაუღობავს გზას კოსმოსში დამკვრელ იარაღს და შეწყვეტს დედამიწაზე გამალებულ შეიარაღებას, ამასთან საბოლოო მიზნად დავისახოთ ბირთვული შეიარაღების სრული ლიკვიდაცია მთლიანად და ყველგან.

დელეგაცია გაემგზავრა

ტანზანიის რევოლუციური პარტიის დელეგაცია, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა, 30 მაისს ეცნობოდა რესპუბლიკას. სტუმრები იყვნენ სიღნაღში, დაათვალიერეს წნორის მეცხოველეობის კომპლექსი, გურჯაანის რაიონში ეწვივნენ სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობას, გაეცნენ კოლმეურნეთა ყოფა-ცხოვრებას.

გუშინ, 31 მაისს დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში სტუმრები გააცილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქინფორმი).

ფოტოინფორმაცია

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

● **ალჟირი.** რესპუბლიკის მომავალი (სურათზე ზემოთ).

● **ინდოეთი.** ქვეყნის 120 მილიონამდე ნორჩი მოქალაქე სწავლობს რესპუბლიკის სკოლებში. მათი უმრავლესობა მუშათა და გლეხთა შვილებია. დამოუკიდებელი განვითარების წლებში დაწყებითი სკოლების რიცხვი სამჯერ გაიზარდა და ამჟამად 600 ათასს აღემატება.

სურათზე: მორიგი მეცადინეობა ჰაიდარაბადის ერთ-ერთ სკოლაში.
საქდესის ფოტო.

ბელგია

ბრიუსელის ტრაგედიის რეზონანსი

ბრიუსელი. ევროპაში ფართო რეზონანსი გამოიწვია ტრაგიკულმა ამბებმა, ადგილობრივ ეიზელის სტადიონზე რომ მოხდა ევროპის ჩემპიონთა თასზე იტალიის „იუვენტუსისა“ და ბრიტანეთის „ლივერპულის“ ფინალური მატჩის დროს.

ბელგიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამიერიდან ქვეყნის ტერიტორიაზე არ შემოუშვას ინგლისის ფეხბურთელთა გუნდები. როგორც პრემიერ-მინისტრის მოადგილემ შ.-ფ. ნოტომბმა განაცხადა, ეს ძალაში დარჩება მანამდე, სანამ „ბრიტანეთის კლუბები არ დაამტკიცებენ, რომ საჭირო ღონისძიებანი განახორციელეს სტადიონებზე ძალადობის აღსაკვეთად“. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დავალებით ამ ქვეყნის ელჩმა ბელგიაში სერმა ჯ. ჯექსონმა საჯაროდ მოუხადა ბოდიში ბელგიის მთავრობას ინგლისელ მოქალაქეთა საქციელისათვის, ამასთან დაადასტურა, რომ მ. ტეტჩერის კაბინეტი ცნობს თავის პასუხისმგებლობას მომხდარი ამბისათვის.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხ. ა. სამარანჩმა განაცხადა, რომ იგი „შეძრწუნა და დიდად დაამწუხრა“ მომხდარმა ამბავმა. საფრანგეთის ორივე ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება წუთიერი დუმილით პატივი სცენ ათობით დახოცილი ადამიანის ხსოვნას. ცნობილმა მწვრთნელმა ო. ბარიჩმა, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ავსტრიის „რაპიდს“, აპის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ამიერიდან სავსებით დასაბუთებულად ითვლება კითხვა: ევროპის რომელი ქალაქი იკისრებს მატჩის მოწყობას ინგლისელ ფეხბურთელთა მონაწილეობით“. შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, დასძინა მან, რომ სოციალისტურ ქვეყნებში ასეთი რამ არ მოხდებოდა.

ბევრი მიმომხილველის აზრით, ეიზელის ტრიბუნებზე მომხდარი სისხლისღვრა ბრიტანეთის ნეოფაშისტების მიერ იყო ინსპირირებული. როგორც, კერძოდ, ლივერპულის სპორტული კლუბის თავმჯდომარემ ჯ. სმიტმა განაცხადა, იუწყება ბი-ბი-სის რადიომაუწყებლობის კორპორაციის საინფორმაციო სამსახური, მუშტიკრივი წამოიწყეს ინგლისის ნეონაცისტური ორგანიზაციის „ეროვნული ფრონტის“ წევრებმა. როგორც ჯ. სმიტმა თქვა, მათ დროშებსა და ტრანსპარანტებს დაინახავდით ტრიბუნებზე მატჩის დროს. ამ აზრს იზიარებენ გაზეთები „შტუდგარტერ ცაიტუნგი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და „რეპუბლიკა“ (იტალია). იტალიური გაზეთი აგრეთვე შენიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა ისეთი მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა ვანდალიზმი, ძალმომრეობა და მასობრივი ლოთობაა, ისევე ენერგიულად უნდა იმოქმედოს, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გაფიცულ მეშახტეთა წინააღმდეგ მოქმედებდა.

ნორჩ ყარიბთა ტრაგედია

ბავშვთა ხვედრი კაპიტალის სამყაროში

ოხ, თუ რამდენი ნორჩი ყარიბი დაეხეტება დღეს შეერთებულ შტატებში, კაცმა არ იცის. ერთი წლის წინათ ამერიკის სენატმა განიხილა სპეციალური რეზოლუცია პრეზიდენტის მიერ 25 მაისის დაკარგულ ბავშვთა დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტის პროექტში ოფიციალურად ამტკიცებდნენ, რომ შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად „თავიანთი მშობლების სახლებიდან უგზო-უკვლოდ იკარგება 1,8 მილიონზე მეტი მოზარდი“.

„ეს ეროვნული ტრაგედიაა, რომელიც კონგრესის დაუყოვნებლივ ჩარევას საჭიროებს“, — განაცხადა სენატორმა უორნერმა რეზოლუციის განხილვისას. მისი აზრით, დაკარგულ ბავშვთა უმრავლესობა, საბოლოოდ, ძალმომრეობის მსხვერპლი, პოტენციური ბოროტმოქმედი ხდება.

ტაიმს-სკვერი ნიუ-იორკის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანია. ნეონის რეკლამებით გაბრწყინებული, იგი მაგნიტივით იზიდავს უსახლკარო არასრულწლოვანებს. მათ ასევე ეძახიან „ტაიმს-სკვერის შვილებს“. ისინი, წერდა გაზეთი „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნი“, „მაწანწალათა და უპატრონოთა საზოგადოებაში სწრაფად მოდიან ასაკში, სადაც სექსი და ნარკოტიკები ყოველ ნაბიჯზე იყიდება, სადაც ძალადობა, პორნოგრაფია და ექსპლოატაცია ტრადიციული ღირებულებებია“.

ამ კატეგორიის მოზარდთა შორის განსაკუთრებით მაღალია თვითმკვლელობათა დონე. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პრესსამსახური ამას წინათ იუწყებოდა, რომ 1983 წელს თავი მოიკლა 15-დან 24 წლამდე ასაკის 6 ათასზე მეტმა კაცმა. აქედან 90 პროცენტი გოგონები იყვნენ.

ამ მონაცემებს რომ განმარტავდა, ახალგაზრდებს შორის თვითმკვლელობათა თავიდან აცილების ეროვნული კომიტეტის თანათავმჯდომარე ალფრედ დელბელო შეეცადა დაესახელებინა ამ ეპიდემიის მიზეზები. მთავარ ფაქტორებს შორის დაასახელა ახალგაზრდობის მზარდი ინტერესი ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისადმი.

ნუთუ მართლაც ასეა ეს? მაგრამ თავიდანვე ხომ იყო რაღაც ფაქტორი, რომელმაც მოზარდს ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისაკენ უბიძგა, აიძულა მშობლიური კერა მიეტოვებინა? ეს თავდაპირველი ფაქტორი გახლავთ სოციალური გარემო, ამერიკული ცხოვრების წესის მანკიერებანი, სიდუხჭირე და უმწეობა, ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობა და თუმცა მოზარდები ამას მეტწილად თავიანთი მშობლების მეშვეობით გრძნობენ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი გულგატეხილობით გამოწვეულ ტკივილს უფრო ნაკლებად განიცდიან, ვიდრე უფროსები. უფრო პირიქით ხდება.

გოპკინსის უნივერსიტეტის სპეციალისტთა გამოკვლევის თანახმად, ქვეყანაში უმუშევრობის 10-პროცენტიანი დონე 1,7 პროცენტით ზრდის სიკვდილის შემთხვევების რიცხვს. უმუშევრობა ოჯახს ართმევს მუდმივ შემოსავალს, შეუძლებელს ხდის ბავშვებისათვის განათლების მიცემას, რომლებიც უამისოდ მომავალში რაიმე სამუშაოს მიღების შანსს კარგავენ. ეს კარგად რომ იციან, მოზარდები სახლიდან გარბიან ან თავს იკლავენ.

კონგრესის კვლევითი სამსახურის აზრით, სოციალური პროგრამების შეკვეცის შედეგად უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა რიცხვი რეიგანის ადმინისტრაციის წლებში 331 ათასით გაიზარდა. ამ მოზარდთა შორის უეჭველად იქნება ბევრი ისეთი, ვინც მშობლიური კერის ზღურბლს რომ გადააბიჯა, უკან აღარ დაბრუნებულა.

ასეთი ბავშვების სვე-ბედი ტრაგიკულია, მაგრამ ეს პრეზიდენტს არ ანაღვლებს. რა მისი საქმეა 35 მილიონი ამერიკელი ღარიბის ხვედრი, რომლებმაც, როგორც მან ერთხელ განაცხადა, თავიანთი ცხოვრების წესი თავისი სურვილისამებრ აირჩიეს?

აქტუალური ინტერვიუ

რკინიგზა

მარტო რელსები არ არის

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მუყაითად სრულყოფს თავის მუშაობას. მან შეჯიბრება გააჩაღა სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და საგრძნობ გაუმჯობესებას აღწევს მრავალი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებით. სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვის ხუთი თვის გეგმა ვადამდე შესრულდა. ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებმა ზაფხულის დაძაბულ პერიოდში მატარებლების — სატვირთო თუ სამგზავრო მატარებლების — მიმოსვლის ზუსტი რიტმი უნდა უზრუნველყონ. სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ბრძანების თანახმად წელს საზაფხულო განრიგი 2 ივნისიდან წესდება.

როგორ მოემზადა ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი ზაფხულის სეზონისათვის? — ასეთი კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა რკინიგზის სამმართველოს უფროსს **ლ. ვარდოსანიძეს.**

— სატვირთო ტრანსპორტის მომსახურე რკინიგზელები, რომლებმაც წარმატებით დასძლიეს ზამთრის სიძნელეები, საგეგმო დავალებებსაც ასრულებენ და სოციალისტურ ვალდებულებებსაც, — უპასუხა მან. სატვირთო მატარებლების მოძრაობის სიჩქარე ამ ზაფხულში საშუალოდ 0,1 კილომეტრით გაიზრდება საათში. შემუშავებულია ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტვირთის გამგზავნებისა და მიმღებების თანამეგობრობის განმტკიცებას, მომიჯნავეთა კომპლექსური შეჯიბრების ეფექტიანობის გაზრდას. ეს საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ მატარებლების წონა და სიგრძე და ამასთანავე შევამციროთ ვაგონების მოცდენა სადგურებში და საწარმოთა მისასვლელ გზებზე.

— რა ცვლილებები მოხდება სამგზავრო მატარებლების მოძრაობის განრიგში?

— დამტკიცდება ახალი, ზუსტი გრაფიკი, რასაც დროულად ვაცნობებთ მგზავრებს. გათვალისწინებულია დამატებითი მატარებლები დაძაბულ უბნებზე, განსაკუთრებით საკურორტო ზონის მიმართულებით. გაიზრდება ჩქარი მატარებლების რიცხვიც. ყოველნაირად ვცდილობთ, კიდევ უფრო უკეთ იმუშაონ საფირმო შემადგენლობებმა „საქართველომ" და „ივერიამ". მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები შესრულდა სამგზავრო ვაგონების პარკის რემონტისათვის, აქედან დამატებითი მატარებლების შედგენისათვის, რომელთა რიცხვი ზაფხულში გაორკეცდება.

— უფრო დაწვრილებით ხომ არ გვეტყოდით?

— ვაგონები შეიღება, იატაკის საფარი განახლდა, შეკეთებული და დარეგულირებულია წყალმომარაგების, ელექტრო და რადიომოწყობილობის სისტემა, დამტვრეული ფანჯრები შეიმინა, მოწესრიგდა სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა, შეიცვალა გაფუჭებული სარკმლის ჩარჩოები, დარეგულირებულია წყალსადუღებელი „ტიტანები" და ა. შ.

— ეს — საქმის ტექნიკური მხარე. რა ღონეთ მომსახურე პერსონალის კადრების შესარჩევად და გასანაწილებლად?

— რკინიგზაზე დისციპლინა ყოველთვის სანიმუშო იყო. მაგრამ არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც. ცალკეულ მუშაკებზე, განსაკუთრებით გამყოლებზე და ბილეთების მოლარეებზე, სამწუხაროდ, საჩივრებს ვიღებთ. მაგრამ რკინიგზის ხელმძღვანელობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უყურადღებოდ არ ტოვებენ არც ერთ ასეთ სიგნალს.

ბევრ რამეს მოველით ჩვენს რკინიგზაზე ექსპერიმენტის სახით შექმნილი გაერთიანებისაგან, რომლის ამოცანაა მგზავრთა გადაყვანისა და მათი მომსახურების ორგანიზაცია. მართალია, ეს გაერთიანება ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე გააჩაღა აქტიური საქმიანობა მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადატანის ორგანიზაციის, ვაგზლებზე და მატარებლებში მგზავრთა კულტურული მომსახურების უზრუნველსაყოფად. გარკვეული მუშაობა გავწიეთ მოლარეთა შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად, განხორციელდა ღონისძიებანი ბილეთების ხელოვნური დეფიციტის ასაკვეთად. ისინი, ვინც ბილეთების გაყიდვის წესს დაარღვევს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან.

გაერთიანება ყოველკვირეულად აწყობს გამყოლის დღეს, რომელზეც, სხვა საკითხებს შორის, საწარმოო და შრომის დისციპლინის დამრღვევების საქმეებს არჩევენ. ამასთანავე სწავლობენ გზაში მგზავრთა მომსახურების მოწინავე მეთოდებს. ბილეთების გაყიდვის სისტემისა და მატარებლების ვაგონებში სერვისის გაუმჯობესების სპეციალური კურსები გაიარა 100 მოლარემ და გამყოლმა, კვალიფიკაცია აიმაღლა 50-მდე მატარებლის უფროსმა.

სისტემაში პირველად ერთი საინტერესო სიახლე შემოვიღეთ. ახლა შორ მატარებლებში კინოვაგონები იქნება. მაგალითად, თბილისიდან მოსკოვში მიმავალ მგზავრებს შეეძლებათ გავიდნენ პირველ ვაგონში, სადაც ყოველდღიურად ახალი მხატვრული ფილმების ექვსი სეანსი გაიმართება. ამავე მატარებლებში გათვალისწინებულია პოლიტიკური, მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ბიბლიოთეკები, სუვენირების გაყიდვა და სხვა.

ჩვენი მაგისტრალის კოლექტივი დიდი მოწონებით შეხვდა პარტიისა და მთავრობის ახალ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. მატარებელი სიფხიზლის ზონად უნდა გადაიქცეს, იგი საზოგადოებრივი ადგილია. აქ მცირე ფართობზე დიდძალი ხალხი იყრის თავს, ეს კი ზრდის ყოველგვარ საფრთხეს. გვეყოფა თავის მართლება შემორჩენილი ცუდი ტრადიციებით. ჩვენ უკვე დავიწყეთ აქტიური და უკომპრომისო მოქმედება. მატარებლების ვაგონებში კატეგორიულად აკრძალულია სპირტიანი სასმელების სმა. ნასვამ მგზავრებს მატარებლებში არ შეუშვებენ, ხოლო ბილეთები გაუუქმდებათ. სმაში შემჩნეულთ მაშინვე გადასხამენ პირველსავე სადგურში. კანონების დარღვევისათვის პასუხს აგებენ არა მარტო მგზავრები, არამედ გამყოლებიც, მატარებლის მთელი ბრიგადა. ვფიქრობთ, გზაში სმის აკრძალვა ხელს შეუწყობს ჰაერაკის ,მაშის, სხვა სამაგიდო სათამაშოების შეძენას დიდი რაოდენობით, რომლებსაც რეისის დროს შორი მატარებლების ყველა ვაგონის მგზავრები გამოიყენებენ. მათთვისვე ყოველ ვაგონში გაიყიდება ახალი გაზეთები, ჟურნალები და მასობრივი ლიტერატურა.

გარდა ამისა, ყოველ ვაგონში იქნება საჩივრებისა და წინადადებათა დავთარი.

რკინიგზა მარტო რელსები როდია. მგზავრი ეფექტს მოელის ყოველი დაბანდებული მანეთიდან. ზაფხულის დრო კი განსაკუთრებით ძვირად ფასობს ფოლადის მაგისტრალებზე. მთავარია გზაში არ დავკარგოთ არც ერთი წუთი, კარგად, კულტურულად და ორგანიზებულად მოვემსახუროთ მგზავრს.

საუბარი ჩაიწერა
რ. დავითაშვილმა.

---

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ჩვენი იმედი და მომავალი

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ ნათელი დღესასწაულისადმი მიძღვნილი საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება გაიმართა კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში.

სხდომა გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ქვანიამ.

საზეიმო კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლამქარაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჟაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის თ. ხუციშვილის ნახატი.

ფოტოეტიუდი — დედა.

სალამი, პიონერულო ზაფხულო!

დღეს დილის საყვირებმა გააღვიძა რესპუბლიკის 80 ათასი ბავშვი და ამცნო მათ პიონერული ზაფხულის დაწყება. იმას, თუ როგორ ჩაივლის იგი, საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით გვიამბობს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა განყოფილების გამგის მოადგილე გ. ქადაგიძე:

— კომკავშირის ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტში გაიმართა სემინარები უფროსი პიონერხელმძღვანელების მომზადებისათვის. სწორედ მათ ეკისრებათ ძირითადი ამოცანა — საინტერესო გახადონ ბავშვების დასვენება. მოდელირების, ხატვის, მხატვრული თვითმოქმედების წრეები, სპორტული სექციები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გამოავლინონ ნიჭი და უნარი.

ქალაქგარეთ პიონერთა ბანაკების გარდა, რომლებიც მოეწყობა ზღვის სანაპიროზე, მთის რაიონებში, რესპუბლიკის დიდ ქალაქებში გაიხსნება საქალაქო ბანაკები. აქ ზაფხულს გაატარებს 20 ათასზე მეტი ბავშვი. მარტო თბილისში ორმოციამდე ბანაკი იქნება. ისინი მოეწყობა პარკებში, ბაღებში, სკოლებთან, სახლმმართველობებთან. უფროსკლასელები დასვენებასთან ერთად განაგრძობენ მესამე შრომითი სემესტრს ჩაის პლანტაციებში, მეხილეობისა და მებოსტნეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ბავშვები, რომლებიც სერიოზულად არიან გატაცებული სპორტით, თავიანთ ოსტატობას სრულყოფენ 54 სპორტულ ბანაკში. უყურადღებოდ არ დარჩენილან არც საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები, მათგან 900 კაცი დასასვენებლად სხვადასხვა ტიპის ბანაკებში გაემგზავრა.

ერთი სიტყვით, დაახლოებით 500 პიონერთა ბანაკმა სტუმართმოყვრულად გაუღო კარი ყველას, ვისაც სურს ზაფხულის არდადეგები გაატაროს მხიარულად, თანატოლების წრეში.

(საქინფორმი).

გიორგი წერეთელი

ქება

მე ბიჭს ვაქებ, როგორსა?!
რომ არა ჰგავს გოგოსა,
თორემ ქუდი ახურავს
თავზე რკოს და სოკოსაც.
სიმინდსაც აქვს ულვაში,
თაგვიც ცხოვრობს ხულაში...
გოგოს ვაქებ, როგორსა?!
მართლაც რომ ჰგავს გოგოსა,
თვალი რომ უკრიალებს
მოწმენდილი, როგორც ცა!
ჩვენც კარგები ვიქნებით
მისი ეშხი რომ მოგვცა.

რაღა უნდა დალიო?

თუ ტყის მტერი ხარო
დაგიშრება წყარო,
თუ არ იქნა წყალიო
რაღა უნდა დალიო?
— ყურძნის წვენი
მიირთვი! —
ზვრიდან ვაზი გვეძახის!
— ისიც აღარ გვექნება
თუ ავჩეხეთ ვენახი.

ენის საფარეშო

სახარე ხზოს მეხრე უნდა
ხედნიდეს და ახარებდეს,
ძის სახელზე რგავდეს,
რწყავდეს,
ახალ ნერგებს ახარებდეს,
რომ ეს მხარე კიდევ უფრო
აყვავდეს და ახავერდდეს.

ავთანდილ გურგენიძე

წყარო

კლდიდან ცრემლად
წამოსული
მთაში წყარო დაიბადა...
ცას ახედა,
გზას გახედა,
სიხარულით გაიბადრა.
წითელი მზე მოეწონა,
მწვანე ბალახს მიაშურა,
ყვავილებში გაუხვია,
ვერცხლის შხეფი მიასხურა.
ამღერდა და ათამაშდა,
ერთ ადგილზე არა დგება.
რაზე მღერის?
— ამ მიწაზე
კი ღირდაო დაბადება!

მეც ვხარობ

იავ,
ცისფერთვალებავ,
ქვეყნად ვერვინ შეგცვალოს...
როცა შენ ამოდიხარ,
სხვებთან ერთად მეც ვხარობ,
გულთეთრა და ფრთაშავო,
საყვარელო მერცხალო,
როცა შენ მოფრინდები,
სხვებთან ერთად მეც ვხარობ.
გაზაფხულო,
ლამაზო,
გადმოჰკიდე მთებს წყარო...
როცა შენ მობრძანდები,
სხვებთან ერთად მეც ვხარობ.

საყმაწვილო პოეზიის კრიალოსანი

თეატრი გიწვევთ პრემიერაზე

საბჭოთა სცენაზე პირველად გაცოცხლდნენ ჟან ანუის პიესის „ევრიდიკეს" გმირები. გამოჩენილმა ფრანგმა დრამატურგმა ბერძნული მითის „ორფევსისა და ევრიდიკეს" პერსონაჟები „გადაასახლა" ფრანგულ მიწა-წყალზე, ხოლო რეჟისორმა გიორგი თოდაძემ ისინი თეატრალურ თბილისს უჩვენა. 30 მაისს თბილისის კოტე მარჯანიშვილის აკადემიურ თეატრში გაიმართა „ევრიდიკეს" პრემიერა.

— რამდენჯერაც უნდა წავიკითხო ჟან ანუის ნაწარმოებები, — თქვა დამდგმელმა, — არ შეიძლება არ წავაწყდე რაიმე ახალს განცდისა და ფიქრისათვის. რაც შეეხება კონკრეტულად „ევრიდიკეს", ამ დრამამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო თავისი ზოგადსაკაცობრიო ჟღერადობის პრობლემით — ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო, სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლა... ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც მიზნად დაისახა დამდგმელმა ჯგუფმა, ის გახლავთ, რომ ეჩვენებინა გმირების სულიერ ღირებულებათა სამყარო, ზნეობრივი კატეგორიები, რომელთა შესახებაც ლაპარაკია დრამაში და რომლებიც ყველა დროში აქტუალურია. ჩვენ გვინდა, რომ მაყურებელი ეზიაროს სპექტაკლის ატმოსფეროს და მასში ასახულ მოვლენებს შეხედოს დღევანდელი ადამის პრიზმით, ჩაუფიქრდეს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს...

ქართულ ენაზე პიესა თარგმნა ლ. ზვიადაძემ. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ნ. მეტრეველმა, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ გ. გაჩეჩილაძეს, ქორეოგრაფია — ნ. მაღალაშვილს.

სპექტაკლში მკაფიო სცენური სახეები შექმნეს მსახიობებმა მ. ჯანაშიამ, გ. ბურჯანაძემ, ე. ყიფშიძემ, გ. სიხარულიძემ, ა. იოსელიანმა, მსახიობთა მთელმა ანსამბლმა.

მარჯანიშვილელთა ახალ ნამუშევარს მაყურებელი გულთბილად შეხვდა. (საქინფორმი).

მოსიარულე ტრაქტირი

ფელეტონი

აქ ბევრი ხალხი იმიტომ შეკრებილა, რომ ახლობლები წვევამდელებს აცილებენ. როგორც მოგეხსენებათ, არმიაში წასვლა საპატიო მოვალეობაა და ამიტომ ეს ფაქტი ყოველთვის ამაღლებულ განწყობას იწვევს.

ასე იყო და ასე იქნება.

ვისაც უნდა ჰკითხო, როგორ წარმოგიდგენია არმიაში გაწვევაო, გეტყვის: იქნება დალოცვა, სადღეგრძელოები, ვაჟკაცური გამხნევება, ყვავილები, ცეკვა-თამაში, სიმღერა...

ყველაფერი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, ყველაფერი თქვას, მაგრამ ის, რაც სინამდვილეში ვნახე, ყოვლად წარმოუდგენელია.

ნავთლუღში ხალხი ირეოდა. უმრავლესობა წვევამდელები და მათი გამცილებლები იყო. ეს სურათი ცნობისმოყვარეობას აღძრავს გამვლელებში. მიხვალთ და რას ხედავთ: შუახნის კაცს მაგიდაზე დაუდგია ყუთი, რომელშიც პლასტმასის დანომრილი თეთრი ბურთულები ყრია. ყუთის გვერდით მუყაოს ფირფიტები აწყვია. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს ციფრები აწერია. მაგიდაზე დაწყობილი ეს რეკვიზიტი სპეციალური მოწყობილობაა აზარტული თამაშისათვის, რომელსაც რულეტს ეძახიან.

— ვიწყებთ სეანსს, იჩქარეთ, წუთში გაგამდიდრებთ. რაც უფრო მეტ ფულს დადებთ, მით უფრო ბევრს მოიგებთ! — ხრინწიანი ხმით გაჰკივის რულეტთან მოფუსფუსე კაცი.

მოდის წითელი თუმნიანები...

— კარტი აიღეთ, ნუ ჩქარობთ, შენი ჯერიც დადგება, აბა ვიწყებთ! — დაატრიალა ბორბალი, კოტიტა თითები ჩაყო თვალთმაქცმა, ამოიღო ბურთულა, — ოცდაორი! რომელია ის ბედნიერი, ვისია ოცდაორი ნომერი! ერთი ნომერი დაგაკლდა, შეხედე, ხუთას მანეთს იგებდი. გადავრჩი წაგებას. თან ბაიათი გააბა: არც მიწა მაქვს, არც წყალი, სალდათი ვარ საწყალი.

— აბა, ვიწყებთ შემდეგ სეანსს, გული არ გაიტეხოთ, მოგება და წაგება ძმები არიან, ან დღე მოგებ, ან ღამე. ამოდენა ნომრებში სულ „პუსტოი" ხომ არ ამოვა.

კვლავ ჩეჩქვით წამოვიდა ფული, კვლავ დაატრიალა თაღლითმა ბორბალი, კვლავ ამოიღო ბურთულა და დაიძახა:

— კარგად დახედეთ, ნომერი არ შეგეშალოთ, ათას ორასი მანეთი მოგებაა, ვისაც შეხვდება, შავი დედალივით გაკეთდება. ოჯახს მიქცევდი, რას მიშვებოდი კაცო? ოთხიანის მაგივრად ხუთიანი რომ ყოფილიყო ვიღუპებოდი.

ბლომად დაუგროვდა თაღლითს ფული. აათამაშა რულეტი კვლავ იგივე ხელის სისწრაფე, მაგრამ ახლა „წაგო" და მთელი მოგებული ფული თავის ამფსონს ჩაუთვალა.

— არ გჯეროდათ ხომ, თქვენი თვალით ნახეთ, როგორ დამაქცია ამ ოჯახდასაქცევმა. წადი შვილო, შაქრად შეგერგოს.

მოგებული თვალთმაქცი ხალხში გაუჩინარდა.

თაღლითმა კვლავ განაგრძო თავისი საქმე, კვლავ დაატრიალა ბორბალი, გულუბრყვილო ხალხი არ შეთხელებულა, პირიქით, მოაწყდა ტალღა, ასე გრძელდება მთელი დღე.

გვერდით სხვა თაღლითებს სამი სათითის თამაში გაუჩაღებიათ. რულეტი თუ კოლექტიური თამაშია და რამდენიმე კაცი მონაწილეობს, სამი სათითე პირიქით, თაღლითი მარტო ერთ გულუბრყვილოს ეთამაშება. აქაც ხელის სისწრაფეზეა დამოკიდებული წაგებ-მოგება.

თაღლითი დაგანახვებს, რომ ერთ-ერთ სათითეში რეზინის პატარა ბურთულა ჩადო, სამ სათითეს ქვაფენილზე დაატრიალებს:

— აბა რომელშია ბურთულა? რაც მეტს დადებთ, მეტს მოიგებთ, ნუ დაიშურებთ ფულს, წუთში შეიძლება გამდიდრება!

და თაღლითის ანკესზე წამოგებულია ასობით კაცი.

ყველაფერი ეს ხდება იმ ადგილას, სადაც ასი ყური და ასი თვალი უნდა ჰქონდეს წესრიგის დამცველს. იქვეა საკოლმეურნეო ბაზარი, რკინიგზისა და მეტროს სადგურები. ამ ადგილებში ხომ ათასი ჯურის ხალხი ირევა.

იმ დღეს მართლაც იმყოფებოდა წესრიგის დამცველი იმ ადგილას, სადაც ეს თაღლითური, აზარტული კომედია მიმდინარეობდა. ეს იყო სახელმწიფო ობიექტების დაცვის ზემდეგი ვასიკო ბესტაევი.

პატივცემულ ზემდეგს ტყუილიც ეხერხება. როცა შენიშვნა მისცეს, რატომ არ იღებ ზომებს აზარტული თამაშების აღსაკვეთადო, გულარხეინად თქვა: მე ამ რაიონში არ ვმუშაობ, ლენინის რაიონიდან ვარო.

მართლაც ასე რომ ყოფილიყო, შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითთა და მეთაურთა შემადგენლობის ფიცი, რომელიც ალბათ საზეიმოდ დადო ვ. ბესტაევმა, ხომ ითვალისწინებს მართლწესრიგისათვის თავდადებას ყველგან და ყოველთვის, ამასთან მაგონდება ომისდროინდელი ერთი ანეგდოტი, რომელიც სწორედ ამ შემთხვევას მიესადაგება ალბათ. სოფლიდან ქალაქში ჩამოსულმა კაცმა მორიგე მილიციელს შეეკითხა: საით არის ბერლინი? მილიციელმა მიიხედ-მოიხედა და დინჯად უპასუხა: არ ვიცი, ჩემი უბანი არ არის!

მაგრამ ის ფიცი და ის საქმე!

ნუ იტყვით, ვ. ბესტაევი და სხვანი აქ თურმე სპეციალურად მეთვალყურეებად არიან მოვლინებულნი.

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების ინსპექტორმა მალხაზ თარხნიშვილმა, რომელსაც აქ რამდენიმე თანამშრომლის ხელმძღვანელობა აქვს მინდობილი, თავი ასე იმართლა: ჩვენს სამეთვალყურეო ზონაში არ არის, ბატონო. ქიშკრის გადაღმა რას აკეთებენ, ჩვენ არ გვეხებაო. მაშინ, ეს თუ ასეა, რატომ ადგა თავზე ვ. ბესტაევი მოთამაშეებს და გაფაციცებითა და დიდი გულისყურით შესცქეროდა, როდის „ამოფრინდებოდა ჩიტი" სათითიდან. რატომ იყო მილიციის ზემდეგის თანდასწრებით ერთი „ბაირამი"?!

ანდა, რა გვარი იყო და რატომ მალავდა თავის ვინაობას ის კაცი, რომელიც თაღლითებთან ტრიალებდა და ამბის გასაგებად თავის ფეხით მოვიდა მილიციის ოთახში. მაგრამ ვინაობა რომ ჰკითხეს, ღობეზე გადახტომით უნდოდა თავის შველა?! მ. თარხნიშვილმა ის ქნა, რომ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ ვერ გაიგებ, ისე დახურა უჩინმაჩინის ქუდი იმ ყალთაბანდს.

— აგერ ბატონო, კვლავ განაგრძობენ თაღლითები რულეტითა და სამი სათითით გულუბრყვილო ხალხის მოტყუებას და ძარცვას.

წესრიგის დამცველს ეს რომ აცნობეს, ცოტა არ იყოს შეცბა და დაიბნა. ფაქტის წინაშე დააყენეს. სურდა თუ არ სურდა, ზომები უნდა მიეღო. მაშინვე ხელქვეითები იხმო და თაღლითების დასაკავებლად გაგზავნა. ისინიც, ვითომ დატრიალდნენ — აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და თაღლითები თავიანთი განიერი მაგიდით, სკამითა და მოსიარულე ტრაქტირის სხვა აღჭურვილობიანად უცებ გაქრეს იმ ადგილიდან, თან გაკვირვებით და ბრაზითაც ამბის მომტანს მიმართავდნენ: სად არიან, ბატონო, თქვენ ხომ არაფერი მოგეჩვენათო.

არა, ეს მოჩვენება არ არის, არც უჩინმაჩინის ქუდი ახურავთ იმ თაღლითებს, რომელთაც შეუძლიათ თვალდახელშუა გაგქრნენ და დაგეკარგონ. ისინი დღისითმზისით საჯაროდ და საქვეყნოდ სჩადიან თავიანთ თაღლითურ და ბნელ საქმეებს, ისინი ყველგან არიან თბილისში — გულიას ქუჩაზე ავტოსადგურთან, მეტროს სადგურებთან, რიყოთის უღელტეხილზე, სოფელ შრომასთან, სადაც ქოთნებსა და დოქებს ჰყიდიან, საკოლმეურნეო ბაზრებთან, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც საბილოს შოვნა შეუძლიათ. ოღონდ წესრიგის დამცველები არ არიან ყველგან, რომ ყალთაბანდებისა და თაღლითების თარეში ალაგმონ.

ბ. ბახტურიძე.

თბილისი

მეშვიდე, ტრადიციული...

თამაშდება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზი

თბილისი 1985

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის წყალჯომარდობის კომპლექსის აუზში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე მიმდინარე წყალბურთელთა მეშვიდე საერთაშორისო შეჯიბრების მეოთხე და მეხუთე ტურის მატჩებში ასეთი შედეგები აღინიშნა: რუმინეთი-იუგოსლავია — 9:10 (2:4, 3:3, 2:2, 2:1), შვეცია-სსრ კავშირი — 9:19 (2:4, 1:5, 5:4, 1:6), საქართველო-კუბა — 6:10 (1:2, 2:3, 1:3, 2:2), შვეცია-რუმინეთი — 7:17 (0:5, 3:5, 2:4, 2:3), სსრ კავშირი-კუბა — 21:9 (4:0, 5:2, 6:3, 6:4), უნგრეთი-იუგოსლავია — 8:9 (1:3, 3:1, 2:2, 2:3).

კუბელებთან მატჩში საქართველოს წყალბურთელთაგან ბურთები გაიტანეს გვახარიამ, კანდელაკმა — 2-2, კუტივაძემ და ნიკოლაიშვილმა — თითო გოლი.

დღევანდელისთვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი და იუგოსლავია — 8-8 ქულა (8-8 შესაძლებლიდან), უნგრეთი — 5 (8-დან) რუმინეთი — 5 (10-დან), კუბა — 3 (8-დან), შვეცია — 1 (10-დან), საქართველო — 0 (8-დან).

დღეს გაიმართება მეექვსე ტურის მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრების განრიგს: 10.00. იუგოსლავია — კუბა, 11.00. სსრ კავშირი — უნგრეთი, 12.00. რუმინეთი — საქართველო. ხვალ ტურნირის ბოლო მატჩები მოეწყობა.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: **დასავლეთის ზონა.** ლვოვის ასკ „კარპატი"-„კრასნოდარის „კუბანი"— 1:0, კიშინიოვის „ნისტრუ"-„აბოვიანის „კოტაიქი" — 2:3, ნიკოპოლის „კოლოსი"-სტავროპოლის „დინამო" — 2:0, ზაპოროჟიეს „მეტალურგი"-ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 2:0, რიგის „დაუგავა"-„ლანჩხუთის „გურია" — 5:0. ამ ზონაში 16-16 ქულით ლიდერობენ „კოლოსი", „დაუგავა" და ასკ „კარპატი". „მეტალურგს" 13 ქულა აქვს, „კოტაიქს" — 12, „ნისტრუს", სტავროპოლის „დინამოს" და ბათუმის „დინამოს" — 11-11. „გურია" 7 ქულით ბოლო, მეთვრამეტე ადგილზეა; **აღმოსავლეთის ზონა.** კემეროვოს „კუზბასი"-მოსკოვის „ლოკომოტივი" — 0:0, ხაბაროვსკის ასკ-იაროსლავლის „შინიკი" — 5:1, ცსკა-კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" — 2:1, სმოლენსკის „ისკრა"-„ულიანოვსკის „როტორი" — 0:2, დუშანბეს „პამირი"-„ტამბოვის „ფახთაკორი" — 2:1. 16-16 ქულით ამ ზონის ლიდერები არიან „პამირი" და „შინიკი".

კრივი. ბუდაპეშტში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ორთაბრძოლებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ცხრა საბჭოთა მოკრივემ, ბულგარეთიდან — რვამ, უნგრეთიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან — შვიდ-შვიდმა, იუგოსლავიიდან — ექვსმა, ფინეთიდან — ოთხმა, ინგლისიდან, პოლონეთიდან, ირლანდიიდან, იტალიიდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან — თითო მოკრივემ.

ველოსპორტი. ინგლისში გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა. აქ ოთხი ეტაპის შემდეგ დაწინაურდა ტარტუელი ტოომას კირსიპუუ. სეროო ჩათვლაში მას 3 წამით ჩამორჩება როი ნაკმანი (აშშ), ხოლო კვეტოსლავ პალოვი (ჩეხოსლოვაკია) — 53 წამით.

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მეორე წრეში მოსკოველი საბჭოთა სპორტსმენმა ანდრეი ჩესნოკოვმა. მან ამჯერად დაამარცხა აშშ-ის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ელიოტ ტელტჩერი ანგარიშით 5:7, 7:5, 6:3, 6:4. აღსანიშნავია, რომ ტელტჩერი კლასიფიკაციით მსოფლიოს ათ საუკეთესოში შედის. მესამე წრეში ჩესნოკოვი მეტოქე იქნება შვეიცარიის ჩემპიონი ჰაინც გუნტჰარტი.

კალათბურთი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 5-16 ივნისს გაიმართება ევროპის ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. იუგოსლავიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ჩორიჩმა გამოაცხადა თავისი გუნდის საბოლოო შემადგენლობა. აი ისინი: ნ. პეტროვიჩი, დ. პეტროვიჩი, ი. სუბოტა, ბ. ვუჩევიჩი, მ. ნაკიჩი, ზ. ჩუტურა, ს. უშიჩი, ე. მუტაპჩიჩი, ნ. ზორკიჩი, ზ. რადოვიჩი, მ. ივანოვიჩი და ვ. პერასოვიჩი.

პირველი შეხვედრის სიხარული

საკონცერტო სეზონის ბოლოს თბილისელი მუსიკის მოყვარულები შეხვდნენ ევროპის ერთ-ერთ აღიარებულ სამხატვრო კოლექტივს — შვეციის გეტებორგის სიმფონიურ ორკესტრს.

ეს საბჭოთა მსმენელის პირველი შეხვედრაა ორკესტრის შემსრულებლო ხელოვნებასთან, რომელიც თბილისამდე დიდი წარმატებით გამოდიოდა ლენინგრადში, ჩვენს ქვეყანაში კი თავის საგასტროლო ტურნეს მოსკოვში დაამთავრებს.

საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბებული კოლექტივი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის, მთელი ევროპის მუსიკალურ ცხოვრებაში. იგი დიდი წარმატებით გამოდის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სცენებზე. ამ ორკესტრის სადირიჟორო პულტთან სხვადასხვა დროს მდგარან გამოჩენილი მუსიკოსები, მათ შორის ევგენი სვეტლანოვი, გენადი როჟდესტვენსკი, იური ტემირკანოვი და სხვები. ორკესტრის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი ეტაპი რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, როცა მისი მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა გიორან ნილსონი — ნიჭიერი მუსიკოსი, რომელსაც კრიტიკამ შვედური მუსიკის „ახალი ვარსკვლავი" უწოდა. სხვათა შორის, ნილსონი სულ 15 წლისა იყო, როცა შედგა მისი, როგორც პიანისტის, დებიუტი სტოკჰოლმში. მან იმთავითვე მიიპყრო მსმენელისა და სპეციალისტების ყურადღება. მაგრამ მისი მუსიკალური ნიჭი მთლიანად გამოვლინდა დირიჟორის პულტთან.

28 მაისს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტზე მისულ მსმენელს ორკესტრმა და მისმა დირიჟორმა შესთავაზეს ბლუმდალის ქორეოგრაფიული სიუიტა ორკესტრისათვის „სიზიფი", დიმიტრი შოსტაკოვიჩის პირველი კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორკესტრისათვის, სიბელიუსის მეორე სიმფონია. კონცერტის სოლისტი იყო საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ვიოლონჩელისტი ფრანს ჰელმერსონი. მუსიკალური კრიტიკოსების აზრით, დირიჟორმა დააინტერესა მსმენელი მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობით, პროგრამის ცალკეული ნაწარმოებების ორიგინალური შესრულებით, ავტორის ჩანაფიქრის სრული გამოვლინებით, პირველი შესრულების სიახლით. თუ შევეცდებით რამდენიმე სიტყვით განვსაზღვროთ ორკესტრის „ხელწერის" ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები, ალბათ, ეს არის ის, რომ მის ხელოვნებაში შერწყმულია შთაგონება, შემოქმედებითი სწრაფვა და მკაცრი კონტროლი.

მაყურებელთა ტაში სამართლიანად დაიმსახურა ვიოლონჩელისტმა ფრანს ჰელმერსონმა — დიდი ნიჭის მუსიკოსმა, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა შოსტაკოვიჩის პირველი კონცერტი.

30 მაისს სტუმრებმა გამოსათხოვარი კონცერტი გამართეს.

(საქინფორმი).



სურათზე: გეტებორგის სიმფონიური ორკესტრი (შვეცია) საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე.

ი. შლამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

1 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — კონცერტი. 10.05 — მეტი უკეთესი საქონელი. 10.35 — მულტფილმი. 10.45 — დოკუმენტური ფილმი. 11.35 — პოეზია. ო. ფოკინა. 12.05 — „შენ გახსოვს, ამხანაგო..." 13.05 — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისათვის. ტელეკლუბი „მოსკოველი ქალი". 14.30 — „ცისარტყელა" (ერაყი). 15.00 — ოჯახი და სკოლა. 15.30 — ახალი ამბები. 15.40 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი. 16.50 — აშკარა — დაუჯერებელი. 17.50 — თანამეგობრობა. 18.20 — მცენარეთა სამყარო. 19.05 — გესაუბრებათ პოლიტიკური მიმომხილველი ა. ივაშჩენკო. 19.35 — „ჩვენ გვიანდებოდა გავუფრთხილდეთ მშვიდობას". 20.45 — „ტომ სოიერისა და გეკლბერი ფინის თავგადასავალი". I სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ევროპის ჩემპიონატი კრივში. 23.50 — მღერის ტოტო კუტინიო (იტალია). 0.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 9.30; 13.00 და 20.30 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.00 — გორკის ტელესტუდიის პროგრამა. 11.00 — დილის ფოსტა". 11.30 — მოგზაურთა კლუბი. 12.30 — შეჯიბრება სპორტულ ორიენტირებაში. 13.30 — კინოპანორამა. 15.00 — სსრ კავშირში ვიეტნამის კულტურის დღეების დახურვა. 16.00 — საერთაშორისო მიმოხილვა. 16.15 — კონცერტი. 17.45 და 19.30 — მულტფილმები. 18.05 — წყალბურთი. 18.35 — საბალეტო კონცერტი. 19.45 — ჯანმრთელობა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.20 — აკადემიური ნიჩბოსნობა. 22.00 „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „ჩემო მეგობარო".

თბილისი

1 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.10 — თბილისის კინოთეატრების რეპერტუარი. 10.20 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა (სტუდიაშია ე. ბაბუნაშვილი). 11.00 — ხალხური შემოქმედება. — ფოლკლორული საღამო უნივერსიტეტში (განმეორებით). 12.25 — საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. საქართველო — რუმინეთი. 12.55 — ბედნიერი ბავშვობა. 13.00 — სატელევიზიო ფილმ-კონცერტი მღერის მართვე". 13.25 — „ჯანმრთელობა". 14.00 — „ბედნიერი ბავშვობა" (ბავშვთა ნახატები). 14.05 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 14.45 — შევისწავლოთ რუსული ენა (სტუდიაშია ნ. ბასილაია). 15.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „ბელურა". 15.25 — „ბედნიერი ბავშვობა" (ბავშვთა ნახატები). 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი. 16.25 — „იმ დღეთა მოსაგონარი". „მზე გაზაფხულისა". დიდი სამამულო ომი და ქართული მწერლობა. 18.05 — საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში: სსრ კავშირი — უნგრეთი. 18.35 — „ბედნიერი ბავშვობა". 18.40 — „ტელევიზია, ტელევიზია...". 19.00 — ლიტერატურული თეატრი. „ფიქრები სულხან-საბაზე". 19.30 — „შუქნიშანი". 19.45 — ცეროდენას ეკრანი. 20.00 — „მოამბე". 20.30 — „პოეზია" (ბავშვები კითხულობენ ქართველი პოეტების ლექსებს). 20.55 — „დედის დღე". ზეიმი ხულოში. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

თეატრი

1 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ასერგასის დღე; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ყრუ ღმერთები (III აბონ. V წარმ.); მოზარდ მაყურებელთა ქართული — მედლის ბედი (№ 21 აბონ. 7 ს., სპექტაკლი გაცდენილი აბონემენტებისათვის).

რედაქტორი
გ. ხედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 08644 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 39. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11